

7  
1906


# მწყემსი



ს.წ.წ. წ.წ. წ.წ.



აიხი  
ვის წარ  
პობის  
თვის  
თაფ



მე ვარ მწყემსი კელია: მწყემსნა კელიან სულა თვისი  
დასდის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
მხოვე ცხოვარი ჩემი წაწყებულა. მსრუთ იყოს სიხარული  
კლა შინა, ერთისათვის ცდღვიოსა. ლუკ. 15—4.  
მოველით ჩემდა ყოველნი მამურაანი და კვირთამიმინენი  
და მე განცხვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 1—2

1883—1906

15—30 იანვარი

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

**საღმარაბაშროს განმარტობა:** რედაქციისაგან, რედ. დ. დ. ლაშაშვილისიერ.—ახალი 1906 წელი, მისივე —  
საგარბოვლი შეტობა, ვ. დ.-სა.—ვის ეუთუნის სამი ათასი მანეთი, რომელიც გაფლანგულ ფულსებ გარდა აღმოჩნდა  
საქართველოს სასულიერო ტურნალის რედაქციაში? დეკ. დ. დ.-ისა.—საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ მართვა-  
განგებობის შესახებ.—საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა (პროექტი).—ქრისტე კანონმდებელი. მღვ.  
ლო—ტი ჩხაიძისა—ცარიელი სული, მღვ. ნესტორ აბესაძისა—თვლით ნაწანი,—რუსეთის რკინის გზების საერთო გაღვივა.  
—ახალი ამბები და შენიშვნები—განცხადება.

## რედაქციისაგან.

10 დეკემბერს გამოცხადებულ საყოველთაო  
გაფიცვის გამო, რომელსაც მოყვა ყველა დრო-გა-  
მოშვებით გამოცემათა შეჩერება, წარსული წლის  
მე-23 და 24 ნომრები „მწყემსი“-სა, სამწუხაროდ,  
ვერ გამოვიდა. ამისათვის წარსული წლის „მწყემსი“-  
სა სურნალი 22 ნომრით თავდება.

ამ წლის იანვრის პირველი ორი კვირა ისეთი  
უბედური დრო დაგვიდგა, რომ ვაზეთი კი არა  
თავის თავი აღარ გვახსოვდა და მთელი დამე ძილი

არა გვქონდა. იანვრის ოცი რიცხვიდან შეუდექით  
ვაზეთის მუშობას და შეერთებული ნომერი გამო-  
ვეცი. ამ შეერთებულ ნომერს ვუგზავნით ყველა  
ძველი წლის ხელის მომწეროთ, არა მიმხედველი  
იმისა, რომ მათგან ვაზეთის გამოწერის შესახებ  
თითქმის არც ერთისაგან წერილი არ მიგვიღია.  
ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვაზეთის გამოწერა ვერ  
მოახერხეს, ვინაიდან ჯერეთ ფოსტა-ტელეგრაფი  
გაფიცვა და დეკემბერში რკინის გზის გაფიცვა  
გაგრძელდა თითქმის ერთი თვე. დღეს კიდევ ამ



მიზეზებს დართო ისეთი გავირება, რომელიც ყოველივეს ავიწყებინებს კაცს.

სამღვდელოების კრებაზე ორ-გზის ჰქონდა მსჯელობა დეპუტატებს ორგანოს დაარსებაზე და ორ-გზის გარდასწყვიტეს ეს საქმე, მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩა და ამ მძიმე საქმის თავსმდები არავინ აღმოჩნდა. სამღვდელოებას იმედი ქონდა უმაღლეს სწავლის მიმღებთა და ქალაქის „წარჩინებულ“ პირთა, რომელიც კიდევ დაპირდნენ საქმის თაობას, მაგრამ მოსტყუდნენ. მათგან არა გამოვიდარა. ზოგიერთმა პირებმა, სამწუხაროდ, თავის საკუთარი ორგანოს ჰქონება უსარგებლო საქმედ მიიჩნიეს! ეს პირები ამას ამბობდნენ იმ დროს როცა მუშებმა თავისი საკუთარი ორგანო დაიარსეს. ჩვენი მრავალრიცხოვანი სამღვდელოება ასეთ გულსაკლავ გულგრილობას იჩენს საკუთარი ორგანოს ქონების შესახებ, როცა ქართველ-კათოლიკეთა მცირე სამღვდელოებამ თავის საკუთარი ორგანო უკვე დაიარსა...

ვკითხოთ ერთი ჩვენ თავს, რამ დაგვამცირა ასე? რათ დაეცინილთ ასე? რათ ჩამოვრჩით ასე ყველა სხვა ქრისტიან აღმსარებელთა სამღვდელოებას? იქნება „მწყემსი“ არ აკმაყოფილებს ჩვენ სამღვდელოებას? დიად, ზოგიერთ აკადემიელებს და სემინარიელებსაც არაფრად მიაჩნიათ იგი. რატომ? მიტომ რომ ეს ყურნალი სოფელი იბეჭდება და სოფლის მღვდელი არის რედაქტორად. ამიტომ ქალაქის და დაბების წარჩინებულ მღვდელთათვის საჩიოთროა ამისთანა ყურნალის კითხვა!?. დიად, შური, ხარბობა და ამპარტაუნობა რას არ აფიქრებინებს კაცს, რას არ ჩაადენინებს? თეთრს შავად დაანახებებს, შავს თეთრად, სწორს ბრუნდედ, ბრუნდეს კი სწორად. ესეთი პირები მალა თუ ხელავენ რამეს, თორემ დაბლა ვერაფერს შენიშნავენ. ამა გადახედეთ ამ „გაერთლებულ და წარჩინებულ“ პირთა ნამოქმედარს, ნამოღვაწეს და ნაშრომს. რას ნახავთ, რას შენიშნავთ, რას წაიკითხავთ მათი გონების სალოროდან ქვეყანაზედ მოფენილს? არაფერს. თბილი აღგილები ჩაუგდიათ ხელში, სკამენ, სმენ, სძინავთ და დასიერობენ—სხვა არაფერი. დროების მოსაკლავად, მოწყენილობის გასაქარვებლად, ხანდა-ხან მწვანე მაგიდას მიუჯდებიან და თავიანთ ნაცნობებთან და სულიერ შვილებთან ერთად გაერთობიან, მხოლოდ მელის მტყვერი, რომელიც მაგიდაზედ ადის ხოლმე დაწერილების წაშლის დროს

და თუთუნის ბოლი შეაწუხებთ ხოლმე. ქვეყანა რომ იმხოზოდეს, სამწყსოთა რომ მგლები დაესიონ და აიკლონ—კინიტს არ დასჭერენ, ხმას არ ამოიღებენ, არჩვის ამხელენ, ერთს სანუგეშო სიტყვას არ იტყვიან, ერთი-ორ უფუქაქანებენ... მოვა დრო და ანგარიში მოვთხოვებაც ვეცდის. შემდეგი თავობა გამოიკვლევს და გაიგებს ყველაფერს; იგი პირუთვნელ მსჯავრს დასჯის ყველას საქმეთაებრ მათთა.

ისევ-და-ისევ თქვენს მოვიტყვიე, სოფლის თანამომენო. წარსულს წელს იმდენ სამღვდელოების კრებაზედ ჩვენმა სოფელმა იმდენი და ზოგიერთ ქალაქების სამღვდელოებისათვის გულშემატკივართა, განგრძობა ჟურნალის საქმისა და ადგარება და თანაგრძობა. ვიმედოვნებთ, ნებული სამღვდელოება ამ გაქვირებულ რომელსაც არავინ არ მიულოდა, ადღახარებას და ჩვეულებრივ თანაგრძობას. ნათქვამია: „ძმანი ჭირსა-შინა იცნობებიანო“. სწორეთ დღეს არის ესეთი დრო. ჩვენ არავის არასა ვთხოვთ შეუძღებულს; ჩვენ ვთხოვთ ჩვენ თანამომენთა წუღიან შურნებენ ჟურნალზედ ხელის-მოსაწერ ფულს სამს მანეთს და დაგვაჯიონ როგორც ჟურნალის გავრცელება მთ შორის, ისე ჟურნალის შინაარსის გავრცელება სამწყსოთა შორის. ამით ჩვენ მოგვეცემა საშუალება ერთის მხრით ჟურნალის განცხადებისა იმ დროს, როცა ასე ხაჭირთა ბეჭდვითი სიტყვით ბრძოლა წინააღმდეგ სხვა-და-სხვა სამწუხარო მოვლენათა და მეორეს მხრით შეგვეძლება მივაწოდოთ სამწყსოთა სულიერი საზრდო სარწმუნოებისა და კეთილზნობის განსამტკიცებლად.

სიტკობებს ვერ იგემებს კაცი, თუ სიმწარე არ უგემებია; ბედნიერებას ვერ იგრძნობს კაცი, თუ უბედურება არ გამოუტლია. ღმერთი მოწყალენ, იგი გამოსცდის ხალხს და დიდი განსაცდელის შემდეგ წყალობას მიანიჭებს. იგი მართლ-მსაჯულია; სასტიკათ სჯის უმართლოებას და მოწყალეა მართალთათვის. მაშ, ჩემო თანამომენო, ვიქონიოთ იმედი, იმედი და იმედი ქვეყანასა ზედა მშვიდობის დამყარებისა, კაცთა შორის სათნოებისა და ბედნიერი დროების დადგომისა.

რედ. დეკ. დ. დამაპიძე.





ახალი 1906 წელი.

წარსულ წელს ვინატრეთ, რომ 1905 წელიწადი ყოფილიყო ყველასათვის ბედნიერი და სანატრელი, რომ ამ წელიწადში დასაბრუნებელიყო დიდება მალაოთ შინ ოძრეთსა და ქვეყანასა ზედა მშვილობა და კაცთა შორის სათნოება. მაგრამ ჩვენი გულის სურვილი არ აღსრულდა! არც ღვთის დიდება იყო და რაც შეეხება კაცთა შორის მშვილობასა და სათნოებას, ისეთი, როგორც წარსულ წელში იყო. ამიტომ ნურასოდეს ნუ ჰქნას! ომი-არმიის სისხლის ღვრამ ხომ ზღვა შეჰქმნა. მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, თუ იაზონელებთან ომის მოსპობის შემდეგ, ისეთი სისხლის ღვრა შეიქნებოდა, თვით სახელმწიფოში კაცთა შორის, შინაურებთან, თავიანთ მოძმეთა და მოყვებთან?

ყოველივერი აირია, ველარა გაიგორა კაცმა! გამოცხადდა ერთობა, ძმობა, თავისუფლება, კაცის პირადობის ხელშეუხებლობა, სიტყვისა, სარწმუნოებისა და სინიდისის თავისუფლება და რასაც ისურვებს კაცი, თითქმის ყოველივე ვითომ გამოცხადდა. წარმოიდგინეთ ამ გამოცხადებას თანვე მოჰყვა სისხლის ღვრა, აკლდა, აწიოკება, ძალმომრეობა, შეუბრძნებლობა და ყოველგვარი თავისუფლების მოსპობა. ამას ზედ დაერთო სიმშვილობა, ცარცვა-გეგვა და სხვა მრავალგვარი უბედურება...

ბედნიერად უნდა ჩასთვალოს კაცმა თავისი თავი, თუ ყველა ეს განსაცდელი და ღვთის რისხვა წარსულის წლით გათავდა და ამას ყოველივეს ბოლო მოეღო. მაგრამ ძლიერ საეჭვო არის მომავალი ახალი წელიწადი აშორდეს წარსული წლის მრავალფეროვან უბედურებას. ძლიერ საეჭვო არის ისეთ უშველებელ სახელმწიფოში, როგორც არის რუსეთის სახელმწიფო, დაარსდეს კაცთა შორის მშვილობა და სათნოება ისე მალე, როგორც ზოგიერთებს ასე საადვილოთ მიაჩნიათ. დიდი ხნის ავადმყოფობას სრულის განკურნებისათვის წამლობაც ხანგრძლივი ესაჭიროება. არა ერთხელ გვითქვამს, რომ რუსეთისთანავე ვებერთელა ქვეყანაში ახალი ცხოვრების შემოღება, მისი გარდაქმნა და საბოლოო წარმატება საადვილოთ საქმე არ არის. ვგულისხმობდით რუსეთის ხალხის განუვითარებლობას და ჩვენს სხვებთან უკან ჩამორჩენას. საქმია არ არის მარტო სიტყვიერად დაერქვას ქვეყანას კულ-

ტურული, როდესაც მასში მრავალი მილიონი სცხოვრებს ისეთი, რომელთაც ცნებლება გამოიცნონ მარჯვენა მარცხენისაგან.

ბევრს, მართლა, ჰგონია, რომ ერთ წელში გათავდება ყველაფერი ის, რაც ასე ჰსურს ხალხს. მაგრამ ეჭვი გვაქვს, რომ სავესებით შეუსრულდება ხალხს ასე მალე თავისი გულის ნატვრა და სურვილი. ამისათვის ახალი მომავალი წელიც ბევრს რამეს მოითხოვს, ბევრს განსაცდელს, ბევრს მსხვერპლსა და ბევრს ტანჯვა-წვალებას. ღმერთმა ჰქმნას, ამდენი განსაცდელის შემდეგ დასცხრეს ის ადევლები, რომელიც დღეს ასე აღზნებულია ხალხთა შორის და დაარსდეს ქვეყანასა ზედა მშვილობა და კაცთა შორის სათნოება; დასაბრუნდეს ერთობა, ძმობა და სიყვარული; მოისპოს ძალმომრეობა, სისხლის ღვრა და დევნულება; ღმერთმა ჰქმნას, რომ მოვიფინოს ქვეყანაზედ განათლება და კეთილ-მოღვაწეობა; განმტკიცდეს ქეშმარიტი სარწმუნოება და აღყვავდეს კეთილ-ზნებობა.

ყოველივეს ამას სულითა და გულით ვინატრით ამ ახალი წლისათვის, წარსულის წლით გულ-დასაგრულნი მომავალი წლის ბოლოს მაინც მივგებებოდეთ აღტაცებულის და სიხარულის გრძობით.

მანამდე კი ძვირფასო მკითხველო, გისურვებ მოთბინებასა და მხნეობას!..\*)

დკ. დ. დამაშიძე.

საბრძნობელი შეცდომა.

წარსულ 1905 წელს ქართული ბეჭდური სიტყვა წინანდელ დროებთან შედარებით უფროა უფრო წარმატების გზას დაადგა, ასე რომ სხვა კავკასიის ერებთან შედარებით, ქართული პრესის ყველაზედ უფრო გავრცელებული და განვითარებული იყო. წინანდელ წლებთან შედარებით რამ

\*) ეს წერილი 1905 წ. 23 დეკემბერს არის დაწერილი ჩვენი წინასწარი გრძობა უკვე აღსრულდა ბევრად მეტად ვინმე ჩვენ ვფიქრობდით. რაც ჩვენ ვიხილეთ თბილისში, გრაკალში. მიხილოვში, წიფაში, მოლითში, ხარაგაულში და ბოლოს ყვირალაში იმის მსგავსი არა გავიგონია რა და არა წავგიკითხავს-რა. დღესაც ისეთ გრძობაში ვართ, რომ ეს ვერ იძვრის ჩვენი გრძობის ასაწერად და გამოგთქმელო. ავტორი.





დენიმე ათასით იმატა ყოველ-ღლიურ გაზეთების მკითხველებმა. ამაშიდაც რუსეთ-იაპონიის ომს უფრო ვუმადლოდეთ, ვიდრე თვითონ ჩვენ...

ცხოვრების დაწინაურების და ხალხის გამოფხიზლების შემდეგ უფროც უნდა ემატნა ამ რიცხვს, რომ სხვა-და-სხვა მიულოდნელ გარემოებას ხელო არ შეეშალა. მით უფრო მოსალოდნელი იყო ეს წარმატება, რადგანაც წინანდელი შეფერხება ბექტლურ სიტყვას ჩამოშორდა და შედარებით თავისუფლად წერის ნება გამოცხადდა. ესლა მსწრაფლის ნაბიჯით უნდა განვითარებულიყო ჩვენი პერიოდულ გამოცემათა რიცხვიც და მკითხველთა რაოდენობაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთმა დაბრკოლებამ იჩინა თავი, რაც შეაფერხებს ამ წინ მსვლელობას. წინად ქართულ ყოველღლიურ გაზეთის რედაქტორს ათასი ხელის მოშწვრიც სანატრელ რიცხვად და ბედნიერებად მიანდა და ესლა-კი 4, 5, 6, 7 და თითქმის 8 ათასიც საკმაო არ გამოდის, რომ გაზეთმა თავისი ხარჯი დაფაროს. ასე რომ ყოველად შეუძლებელი გამოდის გაზეთის გამოცემა, თუ ვინმე ქველ მომქმედი არ დაეხმარება და ან რაიმე განსაკუთრებული გარემოება არ უწყობს ქანებრივად ხელს.

სამუშაო ქირის აწევამ და გაფიცვის დროს, ესე იგი გაზეთის გამოუსვლელობის დროსაც იმნაირივე ხარჯის გაღებამ, შექმნეს ისეთი პირობები, რომ ჩვენში გაზეთი მარტო ხელის მომწვრთა და კერძოდ მყიდველთა შემოსავლით ვერ იბოგინებს.

დეკემბრის გაფიცვის შემდეგ „ივერია“ შეაჩერეს და ამბობენ არც აპირობენ გამოცემასო. მაშინა დადამე ერთი ქველ-მომქმედის უხვმა დახმარებამაც კერა უშველა-რა.

«ცნობის ფურცლის» შესახებ-კი 31 ქრისტეს-მოხსთესსაც არ იყო გამორკვეული გამოვიდოდა თუ არა გაზეთი და მხოლოდ 3-ს იანვარს გამოვდა ხალი ნომერი. რასაკვირველია ამ გაზეთსაც დიდი არალი მიაყენა დეკემბრის გაფიცვამ და ხელის ოწყრის შეფერხებამ.

დეკემბრის თვეში ერთად ერთი გაზეთი, როელიც გამოდიოდა თბილისში, იყო „კავკაზი“, ამით კმაყოფილებდა ზაზოვადობა ცნობის-მოყვარეობას და მეტს წსაკითხს ვერას იშოვიდა ადამიანი რაკომისაც უნდა ყოფილიყო. სწორედ მაშინ, როესაც ყველა თითქმის საღამოს 6 საათიდან შინ სხდნენ და მთელ დღესაც უსაქმურად იყვნენ,

არაფერი წსაკითხი არა ჰქონდათ. იმ დროს, როესაც საჭირო იყო ბექტლეთი სიტყვის ხმის ამოღება დლიურ ქირვარამზედ, როდესაც საჭიროა უჯჯაობისა და უქანონონო მოქმედების აღნაშენა, — სწორედ ყოველი გამოცემა მოსპობილი იყო და სდუნდა. ეს გარემოება მეტად სამწუხაროა და უცნაურიც. ნუთუ არ შეიძლება საქმის ისე მოგვარება, რომ ბექტლური სიტყვა გამოწვალს არ წარმოადგენდეს ხოლმე ამ შემთხვევაში? ის საზომი, რაც საყოველთაოდ არის შემოღებული და სხვა დარგებს შეეხება — ნუთუ გადატანილი უნდა იქნეს ბექტლური სიტყვის ასპარეზუდაც?!

ამ დარგის გამოკლება საერთო ფერხულიდან და ცალკე დასახვა ნუ-თუ საერთო საქმეს შეაფერხებს? ცხადია რომ არა. ასეთ დროს სიტყვიერი მუშაობა, ლაპარაკი, კრება, თათბირი განა საქმეს უღალატებს? ისევე უნდა იყოს ბექტლური სიტყვაც, დრო გამოშვებითი გამოცემაც. ესეც ხომ იგივე სიტყვაა, იგივე ბაასია ოღონდა საყოველთაოდ გამოცხადებული და ქალაღზედ დაწერილი? მაშინა დამე როგორც პირველის უარყოფა არ შეიძლება, ისე ამისი უარყოფაც არ უნდა იყოს სასარგებლო საშუალებად დასახული. ესლა რომ გამოუღდეს რედაქცია წარსული კვირეების მოხმდარ ამბების ბექტლვას, ჯერ ვერც მოასწვრებს ვერასოდეს ამას მეგრე რომ ევლევაც დაიბეჭდოს, მაინც ვერ იქონიებს ისეთ მძღავრს გავლენას, როგორც მაშინ-როდესაც ელვის სისწრაფით ცხადდებდა მეორე-მესამე დღესე საყოველთაო საცნობელად.

გარდა ამისა ისიც უნდა ვიგულისხმობთ, რომ გაზეთის კითხვასაც შეჩვევა უნდა. და როდესაც შეჩვევა ადამიანი, მაშინ მისი მოკლება, ისიც ხანგრძლივად — მეტად სარგებობელი გამოდის. ასე გასინჯეთ ორშაბათს და უქმე დღეების მეორე დღესაც-კი საძნელთა უგაზთოდ დარჩენა, ხოლო როდესაც კვირაობით მოაკლებდა ადამიანს ეს საკითხი, ეს ხომ მეტის-მეტად აწუხებს მას. მეტადრე ჩვენთვის, ქართველებისათვის, ვინც დიდი ხანი არ არის, რაც მიეჩვეით კითხვას, ძალიან ადვილია გადაიყვაც. და ამ თვისებაზედაც, რომ ავალბინით ხალხს ხელი, ეს ვერაფერი ღვაწლი იქნება. პირიქით ჩვენი საერთო ცდა ისე უნდა იყოს წარამართული, რომ ხალხს არც ქალაქად და არც სოფლად ერთ დღესაც არ მოაკლდეს ღროგამოშვებითი ბექტლური ნაწარ-





მეგობრები, რომელიც წარმოადგენს უმძლავრესს საშუალებას ხალხის გაღვივებისა და გამოფხიზლებისათვის, მეტადრე ისეთ პირობებში მყოფ ერისათვის, როგორცა ვარც ჩვენ ქართველები.

გ. დ.

**მის ქაშთინის საიი ათასი მანეთი, რომელიც გაფლანგულ ფულვას გარდა აღმოჩნდა საქართველოვ სანსულიერო მოაგების ჩადაპიციში?**

1889 წელს საქართველოს ექსარხოსმა პალატიმ უწ. სინოდს სახოგო ნების-დართვა ჟურნალის გამოცემისა საქართველოს საექსარხოსოს „სასულიერო მოაგების“ სახელით, იმ პირობით, რომ ეს ჟურნალი გამოეწერათ მარტო შეძლებულ ეკლესიებს, ღარიბი ეკლესიები-კი განათვისუფლებული ყოფილყვნენ მის გამოწერისაგან. მისის თხოვნის თანახმად სინოდმაკ დართო ნება. 1890 წ. ამ ჟურნალის რედაქტორად დანიშნა სემინარიის რექტორი არხიმი. ნიკოლოზ. რედაქტორს რომ დიდი გავლენა მოეპოვებინა ბლაღოჩინებზედ, მოახერხეს და სემინარიის რექტორი სინოდის კანტორის წევრად დანიშნეს სემინარიისათვის უმაღლესად დამტკიცებულ წესდებულებების წინააღმდეგ. ამნაირად ამ ჟურნალის რედაქტორი ისეთ პირად გახდა სინოდალური კანტორაში, რომლის ბრძანებას მთლად ემორჩილებოდა მთელი კანტორა. ამისათვის მან მოათხოვინა კანტორას ყველა ბლაღოჩინებისაგან ჟურნალის გამოცემა, იმ პირობით, რომ ათ ეგზემპლიარზედ ერთს აუთომობდა უფასოდ (ეს ჩვენებურად სსახშია). შეიქმნა დადი დრტვინვა მღვდელთა და მნათეთა შორის ფულის უქონებლობისა გამო, ამისათვის ყველა ეკლესიებმა ვერ გამოიწერეს. სინოდალურმა კანტორამაც დაადგინა, რომ ჟურნალი გავგზავნათ იმ ეკლესიებისათვის, რომელნიც გამოიწერდნენ, ღარიბი ეკლესიებისათვის-კი არც გავგზავნათ და არც მათთვის ფულები მოეთხოვათ. მაგრამ შეიცვალა დრო. რედაქტორად დანიშნა „ყოვლის შემძლებელი“ მღვდელი ვოსტორგოვი. დიდის ამბით და ზეიმით აღიყვანეს დეკანოზობის ხარისხზედ და შემდეგ კანტორის წევრადაც დანიშნეს—ესეც უმაღლესად დამტკიცებულ წესდებულების წინააღმდეგ. საზოგადოდ უქანასკნელ დროს კანტორის წევრე-

ბად დანიშნეს იმდენი პირები რამდენიც არც ერთ დაწესებულებაში არ არიან, და როგორც იტყვიან «შვილმა გამდელმა ბავშს თვალები დაუშროსო»—ისეთი საქმე ჩაიდინეს ამ წევრებმაც. ყოველ თვეს ამოწმებდნენ კანტორის ხაზინას და ამტკიცებდნენ ყველაფერი წესიერად მიმდინარეობს და ხაზინას ერთი კაპეიციც არ აკლიაო, როდესაც ხაზინაში ორას თუთხმეტი ათასი მანეთი კიდევ გაფლანგულიყო...

დევანოზმა ვოსტორგოვმა კანტორას მისი დადგენილება გააუქმებინა და ბრძანება გააცემინა ეპისკოპოსებზედ, რომ მათ საზღვდელითვის ჯამაგირებდნენ გამოეციხებოთ ხუთ-ხუთი მანეთი ყველა-სათვის და მერე ეკლესიებზედ აეღოთ ეს ფული, როდესაც შემოვიდოდა. ეს იყო პირდაპირი გლეჯა საზღვდელითვის ფულებისა და აშკარა ძალმომრეობა. მაგრამ ვინ იყო გამკითხავი?! მღვდლების ჯამაგირის ხაზინიდან კრედიტის გახსნა ეპისკოპოსებზედ იყო დამოკიდებული და ესენიც ძალა-უნებურად ემორჩილებოდნენ კანტორის განჩინებას. იყო ისეთი მაგალითებიც, რომ სინოდში იჩივლეს ამ განკარგულების შესახებ. სინოდმა ღარიბი ეკლესია განათვისუფლა, მაგრამ მისმა კანტორამ უყრადნებდაც არ მიაქცია ამ ბრძანებას და ხელახლად გადახდევინა ეკლესიის მაგვირად თვითონ მღვდელს.

შეიტყვეს რომ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას აქვს ფულები და ამ ფულებიდანაც სინოდის განკარგულების წინააღმდეგ იღებდნენ ხუთ-ხუთ მანეთს თვითეულ მის ეკლესიაზედ. დანარჩენ მღვდელთ-კი, რომელთა ეკლესიებში სრულებით არაფერი ფული არ იყო, ჯამაგირებიდან ურიცხვადნენ. ამნაირად გასაკვიროლიც არის, რომ ბლომად ფული შეიკრიბა, რომელთაგან თვით ძალმომრეებმა რედაქტორმა ყალბი საბუთებით კარგა ბლომით მიითვისა. ვადარჩა სამი ათასი მან. დღეს კითხვა არის აღძრული: ვის ეკუთვნის ეს ფული? პასუხი მარტივი და ცხადია. რასაკვირველია, მათ, ვისაც უსამართლოდ წაართვეს. ხმა უნდა ამოიღონ იმ მღვდლებმა, რომელთა ჯამაგირებიდანაც ეს ფული გამოირიცხა და მათ ნაცვლად გროში არ მიუღიათ არც ეკლესიიდან და არც სხვა წყაროდან. ეს უქანონო საქციელი ხდებოდა მას დროს აქეთ, რაც ვოსტორგოვი გახდა გენერალ-გუბერნატორის უფლებით აღჭურვილ უფროსად ორსავე

უწყებაში საქართველოში. ამას ის სახალხოდაც და გამოცხადებულად იკვებოდა და ბევრს დასამტკიცებელად პეტერბურდის დიდებულ პირთა წერილებსაც აჩვენებდა. კიდევ ამიტომ იყო, რომ მის ვარწმუნაშურებულ უფლებას ვერც ექსარხოხი, ვერც სინოდალური კონტორა და ვერც არავინ სხვა ვერას უბედავდა!..

დღეს რიგია გამოაშკარადეს ამგვარ პირთა საქციელი და მიენიჭოს საქმეთაგერ მათთა. ხოლო დაზარალებული და მამკლის-უფალნი დაკმაყოფილებულ იქნენ.

დემ. დ. ღ—ქ.

**საქართველოს მთავრობის ავტორიტეტული მართვა-გამგეობის შესახებ.**

დიდი ხანია, რაც აღიძრა კითხვა საქართველოში ეკლესიის ავტორიტეტული მართვა-გამგეობის აღდგენის შესახებ. მაგრამ ექვს მარიაშობისთვის გამოცემულ მანიფესტის შემდეგ უფრო გაცხოველდა ეს კითხვა, როგორც სამღვდლო ისე საერო წოდებაში. როდესაც მართებლობამ დააარსა კომისია სხვა-და-სხვა საკითხების შესახებ მინისტრის ბუღალტრის თავმჯდომარეობით, მასუკან მიიწვი მეტის-მეტად გაზვიადდა სხვა-და-სხვა პეტრიციების წერა და გაზენა ამ კომისიაში, როგორც საერო ისე სასულიერო წოდებისაგან. თითქმის ერთსა და იმავე დროს გაიგზავნა როგორც დასავლეთის ისე აღმოსავლეთის საქართველოს სამღვდლოებისაგან პეტრიციები. ამ პეტრიციებში ცხადად და აშკარად იყო აღწერილი დღევანდელი ნაშეგნავად გამწვავებული დამოკიდებულება სამღვდლოთა და სამრევლოთა შორის. მოსასობათ ამ გამწვავებული დამოკიდებულებისა ნაჩვენებია იყო საშუალებაც, რომელითაც შეიძლება კეთილი და სასურველი დამოკიდებულების დამყარება მღვდელსა და ერსა შორის. თითქმის ყველა პეტრიციებში გატარებული იყო ის აზრი, რომ ჩვენ საქართველოს ეკლესიას მოესპო წინანდელი ავტორიტეტული მართვა-გამგეობა, რომ ჩვენი ეკლესია და სარწმუნოება დასცა როგორც ბიუროკრატიულმა წეს-წყობილებამ აგრეთვე აღრჩევითი უფლებების მოსპობამ, რომელიც წინააღმდეგია მოციქულებისა და ეკლესიური კრებების დადგენილებათა.

ეს პეტრიციები მიღებულ იქნა უწმ. სინოდისაგან და განიზრახეს კიდევ სამიტროპოლიტო ოლქების დაარსება მთელს რუსეთის იმპერიაში. ერთი სამიტროპოლიტო ოლქად განზრახული იყო კავკასიაც, რომელ ოლქშიდაც მოჰყვებოდა ჩვენი დაბეჭავებული საქართველოც.

წინააღმდეგე შეეკითხნენ ყველა მღვდლო-მთავრებს, თუ რამდენად სასარგებლო იქნებოდა ეს მიტროპოლიტების ავტონომიური მმართველობა. ეს კითხვა საკმაოდ გამორკვეული იყო ბეჭდვითი სიტყვითაც. გამორკვეული და ვრცელი პასუხი, ყოველის მხრით დასაბუთებული, წარუდგინა იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა, რომელსაც შეუერთდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგიც. რა პასუხი გასცა საქართველოს ექსარხოხს—ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ, როგორც ამბობენ, გორის ეპისკოპოსი ვეთიმე და ალავერდისა პეტრე შეუერთდნენ ეპისკოპოსის ლეონიდის მოხსენებას. სიტყვიერად განუტყობდეს საქართველოს ექსარხოხს, თუ ავტორიტეტული მართვა-გამგეობა არ მიენიჭა საქართველოს ეკლესიას 14 იანვრამდე, შემდეგ ამა რიცივისა საქართველოს სამღვდლოება და საერო წოდება თვითონ აღადგენს ავტორიტეტული მართვა-გამგეობას. ამისათვის მიუცილებელად საქირო იყო მთელი სამღვდლოებისაგან აღრჩეულ დღევანდების შეკრება ქალაქს თბილისს, წინასწარი მუშაობის გამოსარკვევად და საქირო თადარიგის მისაღებად. ამ კრებას ამასთანავე უნდა შეენუშავებია საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა. კრებას დღედ იყო დანიშნული 7 დეკემბერი. ამ რიკსრული კრება არ შესდგა, რადგანაც დასავლეთ საქართველოს სამღვდლოების რწმუნებულნი ყმაღანი ვერ გამოცხადდნენ. ამისათვის 7 და 8 დეკემბერს კრებას ჰქონდა მხოლოდ თათბირი სხვა-და-სხვა საგნების შესახებ და საბოლოოდ არაფერი დაუდგენიათ. 9 დეკემბერს გამოცხადდნენ იმერეთის ეპარქიის ყველა რწმუნებულნიც. კრება მოხდა წმ. ნიკოლაოზის სასწავლებლის შენობაში, რომელსაც დაესწრნენ იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, გორისა—ვეთიმე და სხვა გარეშე როგორც სასულიერო ისე საერო პირებიც. კრება შეუდგა თავმჯდომარის აღრჩევის საქმეს. დასახელეს თავმჯდომარის კანდიდატები 8 სამღვდლო პირი. კენჭის ყრით ყველა ხმით წინააღმდეგ სამისა არჩეულ იქნა თავმჯდომარედ

დეს. დ. ლამაშიძე, ხოლო საქმის მწარმოებლად მლ. ილ. ჯაში და მის თანამშრომლებად ბატონი სერგი გორგაძე. კრების განხილვისთანავე თავმჯდომარემ კრებას მიმართა შემდეგის სიტყვათ:

„გულითად მადლობას მოვასწებებ კრებას იმ ნდობისათვის, რომელიც მან გამოგვიცხადა დღეს თავმჯდომარედ არჩევით. ის კითხვა, რის გარდასწყვეტადაც ჩვენ დღეს ვართ აქ შეკრებილი მეტისმეტად სავალალო და დიდმნიშვნელოვანია. ასი წლის განმავლობაში დარჩენილი და უუყურადგებოდ დატოვებული ჩვენი ეკკლესიისათვის ასეთი მნიშვნელოვანი კითხვა დღეს გვსურს საბოლოოდ გამოვარკვიოთ და განვხილოთ. სრული იმედი მაქვს, როგორც თელი კრება ისე დამსწრე პირებიც აღმოგვიჩვენებენ დახმარებას ამ სამიზნო საქმის შესრულებაში. მოგვხსენებთ, რომ ოთხ მღვდელ-მთავარს აქვს მიცემული სიტყვიერი განცხადება ექსარხოსისადმი, რომ საქართველოს ეკლესიას 14 იანვარამდე მიეცეს ნება აღადგინოს ავტოკეფალიური მმართველობა. იმედი მთავრობა შეიწყნარებს სამღვდლოების და საზოგადოების ასეთ თხოვნას და აღადგენს იმ უფლებას, რომელსაც იგი მოკლებულია რუსეთთან შეერთების დღიდან. ამნაირად თხოვნა იყო წარდგენილი სამღვდლოებისა და საზოგადოებისაგანაც. ათარ შეიძლება დაყოვნება ამ სურვილის აღსრულებისა, ვინაიდან სამღვდლოებისა და საზოგადოების დამოკიდებულება მეტის-მეტად გამწვავდა და სარწმუნოებაც დაასუსტა ამ უფლების დაკარგვამ. ჩვენი საზოგადოება იღმედვე უნდა ცდილიყო ამ კანონიერი სურვილის აღსრულებას და ესლა-კი დრო არის მოპოებულ იქნას ეს დაკარგული უფლება, რომლითაც დაუბრკოლებლად სარგებლობენ ჩვენში ფრანგები და სომხები“.

შემდეგ განხილულ იქნა რწმუნების ქალაქები და, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ესეთი საბუთები არა ჰქონდათ ქალაქის სამღვდლოების წარმომადგენელთა და ზოგიერთ სხვებსაც. ქალაქის სამღვდლოებამ განაცხადა, რომ ამისთანა რწმუნების ქალაქის წარმომადგენლებს მეორე დღისათვის ბილოს გადაწყდა საკითხი იმის შესახებ, რომ სამღვდლოების დელეგატების რიცხვი თანასწორი უნდა იყოს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან.

დელეგატთა შორის ზოგიერთები იმ აზრისა

იყვნენ, რომ ეხლავე შედგამოდა კრება ავტოკეფალიურ უფლების აღდგენას და ზოგიერთები-კი სა. უმჯობესოდ სთვლიდნენ შემდეგ დრომდის მოცდას. ბოლოს ხმის უმეტესობით გარდასწყდა, რომ საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიური მართვა-გამგეობა გამოცხადებულ იქნებოდა შემდეგ. ამით დასრულდა პირველი დღის კრება.

მეორე დღეს შეუდგნენ იმის გამორკვევას, თუ როგორი ხასიათი უნდა ჰქონოდა დელეგატების კრებას. შემდეგ ხანგრძლივი თათბირისა ეს საკითხი გარდასწყდა ამნაირად: იმნიშნული კრება არის ორგანიზაციული.

ამის შემდეგ გაიჩა კითხვა იმის შესახებ, ამ კრების სხდომებზედ—დელეგატებს გარდა შეუძლიათ თუ არა არა დელეგატებსაც დასწრება და როგორის ხმით? ამ საკითხის შესახებ კრებამ უმეტესის ხმით შემდეგი გარდასწყვიტა: დელეგატების კრებები, როგორც ორგანიზაციული სხდომები, სწარმოებენ არა დელეგატთა დაუსწრებლად, მაგრამ კრება იწვევს სათათბირო ხმით მღვდელ-მთავრებს და აწვევთვე გარეშე პირებსაც, სასულიეროსა და საეროს, რომელთაც იგი საქირად სცნობს. ამისთანავე რამოდენიმე პირნი მოწვეულნი იქნებიან მუდმივ თანამშრომლებად, ამნაირისავე ხმით. პრესის წარმომადგენელთაც სრული ნება აქვთ დაესწონ კრებებს.

კრების გათავებისას შემოვიდნენ რამოდენიმე სამღვდლო პირები თბილისის ქალაქისა და განაცხადეს, რომ რწმუნების ქალაქი, თბილისის სამღვდლოების დელეგატთა მიერ წარდგენილი, უკანონოდ არის შედგენილი და ითხოვდნენ, რომ კრებას არ მიეღო იგინი. ამისათვის კრება მეორე დღისათვის იქნა გადადებული.

მესამე დღეს გამოცხადდნენ თბილისის სამღვდლოების მიერ ახლად არჩეული სული დელეგატი. (ამთ შორის იყო ორი ახლად არჩეული, დანარჩენნი-კი წინეთ არჩეულნი იყვნენ.) კრება შეუდგა საქართველოს ეკკლესიის როგორგანიზაციის გეგმის შესახებ დაწერილებით გამორკვევას და შემუშავებას. ეს მუშაობა გაგრძელდა 18 დეკემბრამდე. თვითვეული კრება გრძელდებოდა 6—7 საათამდე. ყოველი კრების დაწერილებითი ანგარიში და საბოლოო დასკვნა იწვეროდა ცალ ოქმებად, რომელსაც აწერდნენ ხელს ყველა დელეგატები. ამ ოქმებიდან გამოკრებილი სრული გეგმა საქარ-

თველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა, რომელიც უნდა წარედგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს საეკლესიო მომავალ კრებას.

კრებისაგან ყველა მუშაობის გათავების შემდეგ თავსმჯღომარემ მიმართა როგორც დელეგატებს ისე სხვა მოწვეულ პირთ, რომელნიც ყოველ სხდომას ესწრებოდნენ მოკლე სიტყვით: „პატრიცემულნო მამანო! მადლობას გვირავთ ყველას იმ პატიოსანი და გულს-მოღვინე შრომისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ კრების პირველი დღიდან ცხრა დღის განმავლობაში. ეს შრომა დიდათ დისაფასებელია ვინაიდან ომიანობის მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ თფილისის ქალაქმა სულ სხვა ფერი მიიღო და დაწესარებული მუშაობა თითქმის შესწყდა. მთელი მცხოვრებლები შიშვენი არიან. არა მიხედველი ამისთანა მდგომარეობის ჩვენი ეკლესიური ავტომობადის (ავტოკეფალიის), ურბის აშენებაზე მაინც ხელი არ ავიდეთ და კიდევ ავაშენეთ. დედა მიწაზე არსად არ აშენებულა ისეთი თვით-მოქმედი მანქანა, რომ მას შეეთება, შესწორება არ დაქირვებოდეს. მე არა მჯერა, რომ ჩვენგან შედგენილს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ მართვა-გამგეობის გეგმას (პროექტს) არ დასჭირდეს ცხოვრების მიხედვით დამატება, შესწორება და შეკეთება. მაგრამ მრწამს, რომ ამ პირველად მიმუშავებულ გეგმისამებრ ჩვენ ეკლესიას უფრო სიმკაცრე ექნება და უფრო გაიღვიძებს იგი, ვინემ დღეს აქვს მას, როცა გარეშე ძალი ამოძრავებს მას მისდა შეუტყობლად და გაუგებრად. ვილოცოთ, ძმანო, რომ დღერთმან ისმინოს ჩვენი ვედრება და დახმაროს ღვთისმშობლის წილობრილ ივერიას, რომ მასხედა აღდგინდეს, განმტკიცდეს და განცხოველდეს ძველებურად, ჩვენებურად ქრისტეს სარწმუნოება და კეთილზნობა“.

კრებამ აღირჩია უმთავრესი საძმო საბჭო თფილისში, რომელშიდაც თითოეულის ეპარქიებიდან არიან თითო წარმომადგენლები. ამ საძმო საბჭოს დადგენის მოყვანა სისრულეში იმისა რაც შეიმუშავა დელეგატების კრებამ. ბოლოს ძმურის სიყვარულობით გამოეთხოვენ ერთმანეთს, მაგრამ ქალაქიდან დეკემბრის თვის დამლევამდინ დაკავებულნი იყვნენ რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო.\*)

\*) ჭერ კიდევ ეს მუშაობა დასრულდებოდა იყო, როდესაც დაიწყო სერთთა გაფიცვა, ამის მოჭვევა, სამუშაოდ, საომარ წესების მდგომარეობის გამორჩევა, შექმნა და აღსრულდა-გაწვეუების გამოცხადება და ამის მიხედვით ვერ გამოცხადდა დროზე დაწესებული ანგარიშა, რომ ამ სხვათა კარგად და თავის დროზე განსწობდა

აი ის გეგმა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა, რომელიც დელეგატების კრებამ შეიმუშავა:

**საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა (პროექტი).**

I.

**ძირითადი პრინციპები.**

§ 1. განმარტება საქართველოს ეკლესიისა. საქართველოს ეკლესია არის მორწმუნე ქართველებისაგან შემდგარი და ერთის, წმიდის, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის პრინციპებზე დაყრდნობით სარწმუნოებრივი საზოგადოება, რომელშიაც და რომლის საშუალებითაც ხორციელდება ამ ქვეყნად ღვთის სასუფეველის დედა-ახრია.

§ 2. მისი მიზანი. ამ საზოგადოების მიზანს შეადგენს მისი წევრების სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დამკვიდრება და მათი ზნეობრივი სრულყოფა ქრისტეს მცნების თანახმად; „იყიფით სრული, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულ არს“.

§ 3. სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობა. როგორც ისტორიულად, ისე კანონიურად საქართველოს ეკლესიას აქვს სრული უფლება სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებლად იარსებოს; ამას უცვლელად მოითხოვს თანამედროვე ცხოვრებაც სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებლობა საქართველოს ეკლესიისა მდგომარეობას: ა) მისი იერარქიის სხვა ეკლესიისათა იერარქიისაგან დამოუკიდებლობაში; ბ) ადგილობრივ კანონმდებლობისა და სამართლის უფლებაში და გ) ადგილობრივთა საეკლესიო ჩვეულებათა და სამღვდლო-წესთა სხვაობაში.

§ 4. ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან. როგორც ზნეობრივ-სარწმუნოებრივის მიხედვით არსებული საზოგადოება, საქართველოს ეკლესია შეეხება თავის წევრებს მარტო ზნეობრივ პრინციპის მხრივ და არადა არა აქვს შეფერს მათ, როგორც წევრებს სახელმწიფოსას ან რომლისამე პოლიტიკურ ორგანიზაციისას. მსგავსადვე არც სახელმწიფოს აქვს უფლება ამ საზოგადოების შინაგან წეს-წყობილებასა

საზოგადოებას ამ ვითარებას, ამისათვის საჭიროდ მივიჩნით ესლა მაინც გავანთოთ ეს ცნობები საზოგადოებას და პრესას. იმედა, რომ ამ გეგმის შესახებ ყველა, როგორც სასულიერო ისე სერთა მხრივ და პრესა, გამოსთქვამენ თავიანთ აზრს, რომელიც ახრებდაც მადგენელი იქნება უკანასკნელ საზოგადოებასა ამ გეგმის დაქსნობის დროს.



და ცხოვრებაში ჩაერის, რადგან, როგორც იქვეა, ეს საზოგადოება არაერთარს პოლიტიკურსა და ეკონომიურს მიზანს არ ესწრაფვის. სახელმწიფო, როგორც ყველგან, ისე ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია მხოლოდ უზრუნველ-პყოს ამ საზოგადოების წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება (17 ოქტომბრის მანიფესტით აღიარებული) და მის დაწესებულებათა ხელშეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან. რომ საქართველოს ეკლესიამ სამუდამოდ აიცილოს თავიდან ეჭვი ან ბრალდება ეგრედ წოდებულს „კლერიკალიზმში“ და თანაც საეკლესიო განახორციელოს თავის წევრთა სინიდისის თავისუფლება, აუცილებლად საქირთა—განთავისუფლებულს არა მარტო ეკლესია სახელმწიფოსაგან, არამედ სახელმწიფოც—ეკლესიისაგან: არც სახელმწიფო უნდა ეროდეს ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია—სახელმწიფოს საქმეებში.

ამ ძირითად პრინციპების თანახმად უნდა მოეწყოს მთელი შინაგანი ცხოვრება და გარეგანი მდგომარეობა საქართველოს ეკლესიისა.

II

საქართველოს მკლესიის წეს-წყობილება.

ა.

ტერიტორია და მისი დაყოფა.

§ 5. საქართველოს ეკლესიის ტერიტორიის შედგენს ქართველის ტომით დასახლებული ადგილები ეხლანდელის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისა, ზაქათალისა, სოხუმისა, ბათუმისა და ყარსის ოლქთა საზღვრებში.

**შენიშვნა:** საკუთარს სურვილით შეუძლიათ საქართველოს ეკლესიას ეკუთვნოდნ ამ ტერიტორიის გარეშე მცხოვრები ქართველები და, აგრეთვე არა-ქართველებიც, როგორც ამავე ტერიტორიის საზღვრებში, ისე მათ გარეშეც.

§ 6. მთელი ეს ტერიტორია დანაწილებულია ოთხ ეპარქიად: ა) კახეთ-ზაქათალისა, ბ) ქართლისა (სამცხე-საათაბაგოთურთ), გ) იმერეთ-გურია-სვანეთისა (ამავე ეპარქიაში შედის ბათუმის ოლქიც) და დ) სამეგრელო-სამურზაყანისა. თვითელი ეპარქია განიყოფება სამი ოლქებად, ხოლო ეს უკანასკნელი—სამრველოებად.

ბ.

სამღვდელოება და მონაწილენი.

§ 7. საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებას შედგენენ: ა) სრულიად საქართველოს კათალიკოს-მამათ მთავარი, რომელიც იმავე დროს არის მთავარ ეპისკოპოსი ქართლისა; ბ) სამი ეპისკოპოსი; გ) მღვდლები; დ) დიაკვნები (==მთავრები) და ე) მედაიონეები.

§ 8. ეკლესიის უუდიდესს ნაწილს შეადგენენ მონაწილენი. მონაწილენად ანუ ეკლესიის წევრად ითვლება ყოველი კაცი და ქალი, რომელსაც ნათელ-ულია, აღიარებს მართლ-მადიდებლობითს სწავლას და ემორჩილება საეკლესიო წყობილებას. როგორც ეკლესიის წევრად გახდომა, ისე მასში დარჩენა ანუ გასვლა დამოკიდებულია თვით მონაწილენის სინიდისსა და სურვილზე; ხოლო რამდენადაც საქმე ბავშვებს შეეხება, იმათი ეკლესიის წევრებად დატოვება თუ იქიდან გაყვანა მათი მშობლებისა და მზრუნველების სინიდისის საქმეა.

გ.

მართვა-გამგეობის ორგანოება.

§ 9. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა დამყარებულია კრებით პრინციპებზე. მთელს საქართველოს ეკლესიას თავში უდგას: ა) სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება და ბ) საკათალიკოსო საბჭო კათალიკოსის-თავმჯდომარეობით, ეპარქიას მოთავეობს: ა) საეპარქიო კრება და ბ) საეპარქიო საბჭო ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით; სამო ოლქს განაგებს: ა) საოლქო კრება და ბ) საოლქო საბჭო; ხოლო სამრველოს მართავს: ა) სამრველო კრება და ბ) სამრველო საბჭო ადგილობრივ მღვდლის დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

დ.

სრულიად საქართველოს სამკლესიო კრება, საკათალიკოსო საბჭო და კათალიკოსი.

§ 10. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება. ეს კრება შესდგება 120 წევრისაგან, რომელთა შორის 40 სამღვდელოების წარმომადგენელია (ცხრა-ცხრა ეპარქიებიდან და 4 ქალაქ თბილისიდან), ხოლო 80 მონაწილენთა დელეგატი (თვრამეტ-თვრამეტი ეპარქიებიდან და 8 ქალ. თბილისიდან). ამათ გარდა კრების მუდმივ წევრებად ითვლებიან ყველა



ქართველი ეპისკოპოსები. კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოსი, ხოლო, როცა იგი არაა, ერთ-ერთი მღვდელმთავარი კრებისავე არჩევით. კრება ირჩევს საქმის მწარმოებელსაც.— ამ კრების კომპეტენციას ექვემდებარება: საეკლესიო კანონმდებლობა, ბ) საეკლესიო სამართალი, გ) ყოველგვარი საეკლესიო საქმეების გარჩევა და გადაწყვეტა, დ) პირველის კათალიკოსისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების არჩევა. კრება არის ჩვეულებრივი—სამს წელიწადში ერთხელ და არა-ჩვეულებრივი, როცა საქირაოს მოითხოვს. კრება კანონიერია, თუ მასზე ყველა წევრების  $\frac{2}{3}$  მაინც გამოცხადდება; თუ კრება პირველ მოწვევაზე ვერ შესდგა, მეორედ მოწვეული კრება კანონიერია, უკეთუ დაესწრება არა უმცირეს ყველა წევრების  $\frac{1}{3}$ -სა.

§ 11. საკათალიკოსო საბჭო. საკათალიკოსო საბჭო შესდგება 8 წევრისაგან, რომელთა შორის 4 სამღვდლოების წარმომადგენელია და 4 მორწმუნეებისა (თითო—ეპარქიიდან), არჩეულნი 3 წლის ვადით. საბჭოს თავმჯდომარეობს კათალიკოსი, ხოლო, როცა იგი არ არის ერთ-ერთი ეპისკოპოსი, რომელიც ამ შემთხვევისათვის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ იქნება წინადაწინვე არჩეული. საბჭოს 3ჰავეს საქმის მწარმოებელი და მისი თანაშემწე, რომელთაც იწვევს თვითონ საბჭო 3 წლის ვადით.— ამ ორგანოს კომპეტენციას ექვემდებარება: ყოველგვარი საქმეები სრულიად საქართველოს ეკლესიის შესახებ—საკუთრივ საეკლესიო, სამოსწავლო და სამეურნეო, რომელთაც მას სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება დააკისრებს.

§ 12. სათავადაკოსო. კათალიკოსი არის მხოლოდ «პირველი თანასწორ ეპისკოპოსთა შორის» (მოციქულთა კანონი— 34) და მარტოოდენ შემდეგს საქმეებში ეკუთვნის მას სხვა ეპისკოპოსთაგან განსხვავებული უფლებანი: ა) იგი თავმჯდომარეობს საკათალიკოსო საბჭოსსა და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, ბ) უფლებად აქვს მწყემსთათავრულად მიმოიხილოს ყველა ეპარქიები, გ) მისს სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს მასზე დამოკიდებული ეპისკოპოსები; საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად მას ეკუთვნის: აა) მხრუნველობა უები-სკოპოსოდ დარჩენილ ეპარქიებზე, ბბ) მიღება საჩივრისა ეპისკოპოსთა და საეკლესიო დაწესებულებათა შესახებ და გამოძიების დანიშნა; გგ) უმაღ-

ლესი ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა ყველა საეკლესიო საქმეებისა მასზე დამოკიდებულს ეპარქიებზე; დდ) მიცემა დათხოვნილი საეკლესიო ეპისკოპოსთათვის, რომელნიც ეპარქიიდან დროებით სხვაგან სადმე მიდიან; ეე) დასასრულ, იგი ხელმძღვანელობს საეპისკოპოსო კანდიდატების არჩევნებს საეპარქიო კრებაზე; ხოლო სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ხელდასხამს არჩეულ კანდიდატს. მაგრამ დაწყება ისეთი საქმისა, რომელიც მთელს საქართველოს ეკლესიას შეეხება, კათალიკოსს შეუძლია მხოლოდ ყველა დანარჩენ ეპისკოპოსებისა და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების თანხმობით,—და როგორც სხვა ეპისკოპოსები, იგიც ამავე კრების სამართალს ემორჩილება.

§ 13. სათავადაკოსის არჩევა და კურთხევა. კათალიკოსს ირჩევენ ყველა ქართველი ეპისკოპოსები, წარმომადგენელი სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდლოებისა — რიცხვით 30 (რომელთაგანაც 15 ქართლის ეპარქიისაა, რადგან კათალიკოსი ამ ეპარქიისათვის მთავარ-ეპისკოპოსადაც ითვლება, ხოლო ხუთ-ხუთი დანარჩენი სამი ეპარქიიდან) და მორწმუნეთა დელეგატები რიცხვით 60 (ცამეტ-ცამეტი ოთხივე ეპარქიიდან და 8 ქალ. თბილისიდან). როცა კათალიკოსის არჩევა ჭ ეპისკოპოსთაგან მისი. კუროხევა გათავდება, კრება წარუდგენს დასამტკიცებლად ხელმწიფეს და დამტკიცების შემდეგ აცნობებს როგორც უმაღლესს საერო მთავრობას, ისე ყველა ავტორიტეტულს ეკლესიებს.

2.

## სამეპარქიო კრება, სამეპარქიო საბჭო და მისი კომპოსიცი.

§ 14. საეპარქიო კრება. საეპარქიო კრება შესდგება 90-ის წევრისაგან, რომელთა შორის 30 სამღვდლოების წარმომადგენელია და 60 მორწმუნეებისა. კრებას თავმჯდომარეობს ადგილობრივი ეპისკოპოსი, ხოლო როცა იგი არაა, თავმჯდომარეს კრება თვითონვე ირჩევს სამღვდლო პირთა შორის. კრებავე ირჩევს საქმის მწარმოებელსაც, კრება კანონიერია, თუ ყველა წევრების  $\frac{2}{3}$  გამოცხადდება, ხოლო განმეორებითი მოწვევის შემდეგ კრება კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრება არა უმცირეს ყველა წევრების  $\frac{1}{3}$ -ისა. საეპარქიო კრება არის ჩვეულებრივი — წელიწადში ერთჯერ და



არაჩვეულებრივი—საქიროებისადაგვარად.—საეპარქიო კრების კომპეტენციის ეკუთვნის: ა) მღვდელმთავრისა, საკათალიკოსო და საეპარქიო საბჭოების წევრთა არჩევა და აგრეთვე არჩევა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის დელეგატებისა; ბ) ყოველგვარი საეკლესიო საქმეების განხილვა და გადაწყვეტა ეპარქიაში.

§ 15. **საეპარქიო საბჭო.** საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარეობს ეპისკოპოსი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭოს წევრები თვის შორის ირჩევენ თავმჯდომარეს. ეპისკოპოსს გარდა საეპარქიო საბჭოში შედის 6 წევრი, რომელთაგან 2 ეპარქიის სამღვდლოების წარმომადგენელია (ერთი მღვდლებისა და ერთი მეღვთისმეტყველის) და 4 მორწმუნეთა წარმომადგენელი. საბჭოს წევრები ირჩევიან 3 წლის ვადით. საქმის მწარმოებელს საბჭოსათვის ნიშნავს საეპარქიო კრება. საბჭოს სხდომა კანონიერია, უკეთუ მასზე გამოცხადდება არა უმცირეს 4 წევრისა.—საბჭოს კომპეტენციის ეკუთვნის: ა) უმაღლესი ზრუნვა სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვა-განმტკიცებაზე ეპარქიაში; ბ) უმაღლესი თვალყურის დევნება სამონასტრო და საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში; გ) ქონება საეპარქიო საბჭოს უცნობელსა არ უნდა იხმარებოდეს; დ) განხილვა იმ საქმეებისა, რომელთა ში მას საოლქო კრება ან საოლქო საბჭო წარუდგენს; ე) უუმაღლესი სასულიერო სამართალი ეპარქიაში, უკეთუ ამ სამართალს მიმართავს ვინმე; ვ) უუმაღლესი მეთვალყურეობა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში; გ) მისწინებააუთრებელად არავის შეუძლია ტაძრის ან მონასტრის შენება დაწესება; ზ) საბჭოს შეუძლია მღვდელს მღვდელ-მოქმედება აღუკრძალოს; ც) შეუძლია შეამციროს ან გაამდიდროს დადებული ეპიტიმია; უკანვე მიიღოს ეკლესიიდან განკვეთილი წევრები; თ) იგი ამტკიცებს საეკლესიო მიზნით დაარსებულ საზოგადოებათა ანუ ძმობათა წესდებს; ი) შეუძლია მიიღოს და გაანაწილოს საეკლესიო საქიროებათათვის კეთილმორწმუნე ქრისტიანეთაგან შეწირული ფული და უძრავ-მოდრავი ქონება; ია) დასასრულ, მას აქვს უფლება აღსნას ქორწინების ღირს ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესაურ კავშირიდან გამომდინარეობენ;

აგრეთვე ზოგიერთი ალექსანდრე გარდა ბერობის ალექსისა.

§ 16. **ეპისკოპოსი:** მისი უფლება და მოვალეობანა. ეპისკოპოსს ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელს ეპარქიაში ჭაბაგებისა; ბ) უფლება ყოველგვარის მღვდელ-მოქმედების შესრულებისა; გ) უზენაესი ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში ყველა მორწმუნენი ხალხს საეკლესიო სწავლის იცავდნენ; დ) სარწმუნოებრივ საქმეებში მასზე დამოკიდებული არიან ეპარქიის ყველა წევრები; ე) დასასრულ, ეპისკოპოსს ეკუთვნის უფლება—წირვა-ლოცვის ღირს თავისი ეპარქიის სამღვდლოებისაგან იხსენიებოდეს.—ეპისკოპოსი ვადგებუდა: ა) ყველაფერში პატივსაცემდეს ყველა საეკლესიო დაწესებულებებს ეპარქიაში, რომელნიც კანონიერად არიან დაარსებულნი, და იმ საქმეებში, რომლებიც აღნიშნულს დაწესებულებებს ექვემდებარება, მათი წესდების თანახმად იქცეოდეს; ბ) დამორჩილოს საეკლესიო კანონებს და კანონიერად გამოცემულს დადგენილებათ როგორც საეკლესიო მთავრობისას, ისე სამოქალაქიას, რამოდენადაც ამ უკანასკნელის დადგენილებანი საეკლესიო მიზანს არ ეწინააღმდეგება; როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონის ან დადგენილების შეესახება აზრის ორქოვობა დაიბადება, განსამარტობად უნდა მიმართოს; გ) განუწყვეტლივ თავის ეპარქიაში იმყოფებოდეს, ხოლო საკუთარ საქიროებისათვის ეპარქიიდან წასვლა შეუძლია მხოლოდ სათანადო მთავრობის (საკათალიკოსო საბჭოს) თანხმობით; დ) თავისი სამღვდლოებასა და სამწყსოს ხშირ-ხშირად უგზავნოს მოძღვრებითი ეპისტოლეები, რითაც ასწავლოს მათ ქრისტიანობრივი ქმშარიტებანი და მათთან თავივლი კავშირი იქონიოს; ე) მიმოიხილოს ხოლმე თავისი ეპარქია, რათა მის მღვდლმარტობას პირადად გაეცნოს; ვ) ყველაფერში დამორჩილოს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებას; ზ) საეპარქიო საბჭოსთან ერთად მოახსენებდეს ხოლმე აღნიშნულს კრებას ყველა ღირს-შესანიშნავ შემთხვევათა შესახებ მის ეპარქიაში, აცნობდეს მას თავისი ეპარქიის მიმოხილვის შედეგებსა და თანაც აღნიშნავდეს იმ ზომებს, რომელნიც საეკლესიო საქმეთა უკეთ მოსაწყობად აღსაქროს; ც) როცა სათანადო მთავრობა მოიწყობას სრულ. საქ. საეკლ. კრებაზე გამოცხადდეს; თ) უმაღლესი საეკლესიო

მთავრობის უკოდინრად არა მოიზომებოდეს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღმატება; ი) წირვა-ლოცვის დროს კათალიკოსის სახელს იხსენიებდეს; ია) სხვის ეპარქიაში თავის ნებით არა დიწყოს-რა; იბ) დასასრულ, პატრიარქის ეპარქიის სახელს სხვა მღვდელ-მთავრებისა და საეპარქიო საბჭოების ანუ საეპარქიო კრებების გადაწყვეტილებას.

§ 17. ეპისკოპოსის არჩევა და ხელდასმვა. ეპისკოპოსს ირჩევს, კათალიკოსის ან მისი რწმუნებულის ხელმძღვანელობით, კრება ეპარქიის სამღვდლოების წარმომადგენლებისა რიცხვით 50 (20 სამღვდლო ხარისხის მქონეთა ღ 10 მედაიონებისა) და მორწმუნეთა დელეგატებისა რიცხვით 60 (რომელთა შორის 5 საკათედრო ქალაქიდან). ხოლო ხელდასმას კათალიკოსი და ორი ეპისკოპოსი ან მარტო ორი ეპისკოპოსი. ეპისკოპოსის არჩევის დროს კრებას თავმჯდომარეობს ან თვით კათალიკოსი ან საკათალიკოსო საბჭოს მიერ არჩეული პირი.

წ 18. ეპისკოპოსის არჩევის დროს სამღვდლო ხარისხთა მექანი ბერები (არქიმანდრიტები, იგუმენები, მღვდელ-მონაზვნები და ბერ-დიაკვნები) სამღვდლოებასთან ერთად ჰყრიან კენჭს, დანარჩენი ბერები კი - ერთსკეპტონთან ერთად. მეორე აზრით: არც ერთ ბერს, თუნდაც იგი სამღვდლო ხარისხისთიაც იყოს შემოსილი, უფლება არა აქვს საეპარქიო არჩევნებში ან საკლესიო მართვა-გამგეობაში მიიღოს მონაწილეობა, რადგან მას, თავისი აღთქმის თანახმად, ერთხელვე უარი აქვს ნათქვამი საკუთარ ნება-სურვილზე და, სანამ იგი ბერად დარჩება, ამ აღთქმასაც ძალა არ დეკარება.

პ.

საოლქო საბჭო კრება ღ საოლქო საბჭო საბჭო

§ 18. საოლქო კრება და საოლქო საბჭო. ორივე მარტო საკრებულო დაწესებულია. სამო საოლქო კრებაში თანასწორის ხმით მონაწილეობას იღებენ ოლქის ყველა კრებულთა წევრები (მღვდლები, დიაკვნები და მედაიონები). თავმჯდომარეა და საქმის მწარმოებელს კრება თვითონ ირჩევს. კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საოლქო საბჭოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევა სამ-სამის წლით, ბ) სამო საბჭოს ყოველგვარი მოქმედების ანგარიშთა განხილვა, გ) სამო საბჭოს წევრების ან კრებულთა წევრების უთანადო მოქმედების წინააღმდეგ

აღძრული საქმეების განხილვა და გასამართლება; დ) ყოველგვარი საზოგადო სამო საქმეები.

§ 19. სამო საოლქო საბჭო. შესდგება თავმჯდომარისა და 4-ის წევრისაგან (რომელთა შორის 3 მღვდლების წარმომადგენელია და 2 მედაიონებისა); თავმჯდომარედ უსათუოდ მღვდელი უნდა იქნეს.

წ 19. სამო საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი. საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სამღვდლო და სამთავრო კანდიდატის გამოცდა (მარტო ღვთისმსახურებისა და მღვდელ-მოქმედების კონდაში) და სითანადო მოწოდების მიცემა; ბ) ხელმძღვანელობა სამრევლო კრებათა; როცა ეს უკანასკნელი კრებულის წევრებს ირჩევს; გ) სამრევლო კრებულთა წევრებს შორის მომხდარ უთანხმოების განხილვა და გადაწყვეტა; დ) ზრუნვა სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვა გამოიერებაზე ოლქში; ე) გამგეობა საოლქო სამო წიგნთსაცავ-სამკითხველოს და მასზე ზრუნვა; ვ) გამგეობა სამო კასისა; ზ) მოწვევა სამო საოლქო კრებისა (2-ჯერ მაინც წელიწადში, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშირად); კრება უნდა მოწვეულიქნას იმ შემთხვევაშიც, უკეთუ ამას მოითხოვს არა უმცირეს 5-ს საკრებულო პირის; ც) და დასრულ, ზრუნვა ოლქის სამღვდლოების გატირებულ წევრთა, ქვერთა და ობლებზე.

4.

მამულის, სამამულო კრება, სამამულო საბჭო და კრებული.

§ 20. მრევლი. სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, თუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და მღვდლის შენახვა არ შეუძლიათ. სამრევლოს უსათუოდ უნდა ჰქონდეს საკუთარი ტაძარი; ხოლო თუ ამავ სამრევლოში სხვა ტაძრებიცაა, იგინი ზედ-მიწერილ ტაძრებად ითვლებიან.

წ 20. მრევლის მრევლი როგორც ერთის მიხით და განსახლებულის წყობილებით შეერთებული საზოგადოება, იურიდიულ პირს წარმოადგენს.

§ 21. სამრევლო კრება. სამრევლო კრებას შეადგენს ყველა სრულ-წლოვანი მორწმუნე კაცი და ქალი (არა უმცირეს 21-ს წლისა).

წ 21. სამრევლოს კალს, როგორც მამაკაცს, უფლება აქვს როგორც სხვა პირის, ისე თვითონაც არჩეულიქნას

(დელეგატად, საბჭოს წევრად და ისეთს საეკლესიო თანამდებობაზე, რომლის შესახებაც წინდაწინვე არაფერი იქნება ვალაწვეტილი).

კრება თითონვე ირჩევს თავმჯდომარეს და, თუ საქიროა, საქმის მწარმოებელსაც. კრება კანონიერი, უკეთუ მასზე მრევლის (სრულწლოვანები იგულისხმებიან)  $\frac{2}{3}$  მაინც გამოცხადდება; ხოლო, თუ კრება პირველ მიწვევაზე ვერ შესდგა, მეორედ იგი კანონიერია, უკეთუ მას დაესწრება არა უმცირეს მრევლის  $\frac{1}{3}$ -სა. აწმყენების დროს საქიროა კრებაზე მრევლის  $\frac{2}{3}$  გამოცხადდეს და არჩეულადც მხოლოდ ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელსაც ერგება არა უმცირეს ყველა კენჭების  $\frac{3}{4}$ -ისა (თუ საქიროება მოითხოვს განმეორებითი კენჭის ყრაც შესაძლებელია; კენჭი ყრება ორს კანდიდატს, რომელთაც ყველა დანარჩენ კანდიდატებზე მეტი კენჭი ერგოთ პირველი კენჭის ყრის დროს). ჩვეულებრივს საქმეებს კი კრება სწყვეტს ხმის უბრალო უმეტესობით. ამავე წეს-რიგს ემორჩილება ყველა სხვა საეკლესიო კრებებიც (საოლქო, საეპარქიო და სრულიად საქართველოსი). სამრევლო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) მღვდლისა და მღვდელთნის საბჭოს წევრთა არჩევა; ბ) ეკლესიისა და კრებულის შესანახ ხარჯის მორწმუნეთა შეძლებისდაგვარად გაწერა; გ) სარწმუნოებრივ და ზნეობრივ დანაშაულთა თავის წევრთა (=მორწმუნეთა) განსამართლება; დ) განსამართლება და სამართალში მიცემა სამრევლო საბჭოს წევრებისა სამსახურის აღსრულების დროს დაუღვევრობისა, უფლების აღმატებისა და ბოროტ-მოქმედებისათვის; ე) აღძვრა საქმისა საოლქო ანუ საეპარქიო საბჭოებისა გინდ კრებათა წინაშე კრებულის წევრთა შესახებ მათი უთანადო მოქმედებისა და ცუდი ყოფაქცევისათვის.

§ 22. **სამრევლო საბჭო.** სამრევლო საბჭო შესდგება 5-ს წევრისაგან, რომელთაც სამრევლო კრება ირჩევს ერთის წლის ვადით; თავმჯდომარეს ირჩევენ თავის შორის თვითონ საბჭოს წევრები.

**შენიშვნა.** საბჭოს წევრებად მრევლს შეუძლია კრებულის წევრნიც აირჩიოს; ყოველს შემთხვევაში, კრებულის წევრთ სამრევლო საბჭოში სათაობირო ხმა მაინც უსათუდ ეკუთვნისთ; ყრძოდ მღვდელი ამ საბჭოს ხელმძღვანელად ითვლება.—საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი.

სამრევლო საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საეკლესიო უძრავ-მოძრავ ქონების მართვა-გამგეობა

სამრევლოში; ბ) ყოველგვარი სტატისტიკური ცნობების შეკრება, რასაც კი სამრევლოს მართვა-გამგეობისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა; გ) აკრფა საეკლესიო ვაღსახადისა მრევლში და მისი დანიშნულებისამებრ განკარგულება; დ) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილ-მოწყობაზე; ე) ზრუნვა ქვირთვ-ობლებისა და ღარიბებზე საქველ-მოქმედო აზრით; ვ) აღძვრა საქმისა იმ პირთ წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მორწმუნეთა სარწმუნოებრივს გრძობას შელახავენ; ზ) მოწვევა სამრევლო კრებისა.

**შენიშვნა.** სამრევლო კრება უნდა მოწვეულ იქნას იმ შემთხვევაშიც, უკეთუ ამას მოითხოვს არა უმცირეს 20 მორწმუნისა.

§ 23. **კრებულა.** კრებულს შეადგენენ: მღვდელი, დეაკანი (უკეთუ იგი არის) და მღვდელთნე.

ა) **მღვდელა.** მისი მოაფლავიანია. მღვდელი ვალდებულია: ა) მუდამ თავის მრევლში იცხოვროს და, სამრევლო საბჭოს ნებადაურთებლად, უფლება არა აქვს მრევლი დასტოვოს; განსაკუთრებით როცა იქ რაიმე მთარული სენი გაჩნდება ან როდესაც სამრევლოს განსაცდელი რამ მოვლის; ბბ) განსაკუთრებულ თვალ-ყურს ადევნებდეს საკუთარს ყოფაქცევას როგორც საზოგადოებაში ისე თავის სახლში; გგ) ასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურებანი საეკლესიო ტიბიკონით დაწესებულ დროებში; დდ) თავისი მრევლის მოთხოვნისამებრ დაიუყოვნებლივ აასრულოს საქირო მღვდელ-მოქმედებანი; ეე) თვალყური ადევნოს ტაძრისა და საღვთისმსახურო საგნების ისუფთავესა და კეთილშეგნებებს; ვვ) თვალყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისციპლინისა და ზნეობის დაცვას, ხოლო ურჩს წევრებს მოძღვრული ჩაგონებაც გადასცეს; ზზ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ რაიმე ეჭვი დაებადება, მოვალეა ახსნა-განმარტებისათვის საოლქოს ან საეპარქიო საბჭოს მიმართოს; ცც) მისს უპირველეს მოვალეობას შეადგენს ეკლესიაში ქადაგება და საზოგადოთ სწავლა-მოდერება; თუ ამ მხრივ იგი ზარბაძი ან დაუღვევარია, სამსახურიდან დათხოვნილ იქნება; თთ) თავისს მრევლში მას უფლება აქვს სხვა მღვდელს რომლისაზე მღვდელმოქმედების შესრულების ნება არ მისცეს; იი) დასასრულ იგი მოვალეა ღვთისმსახურების დროს თავისი ეპისკოპოსის სახელი მოიხსენიოს.



ბ) დაჯანჯანა. (=მოჯანჯანა) და შეჯანჯანე. მთავარი და მდღეობით არიან მხოლოდ მღვდლის თანაშემწენი და უმისოდ არავითარი მღვდელმოქმედების შესრულება არ შეუძლიათ. ერთ მღვდელთან უსათუოდ ერთი მღვდელთნაც უნდა იყოს; ხოლო, რომელ მრევლშიაც ორი ან მეტი მღვდელია, იმ მრევლს, თუ ჰსურს, მთავარიც შეურლია იყალიოს. კერძო ზნა: რადგან თვით ცხოვრებამაც უარ-ჰყო მთავრის თანამდებობა, იგინი უნდა იყონ მარტო საკათედრო ტაძრებთან; ხოლო სხვაგან მთავრების ყოლა მრევლის სურვილზე ჰკიდია.

ბ) კრებულის წევრთა თვისებანი: ა) ფიზიკურის მხრით კრებულის წევრად ასარჩევი კანდიდატი არ უნდა იყოს ყრუ, მუნჯი ან რომლისმე გადამღებ ხანგრძლივ სნეულდებით შეპყრობილი; ამასთანავე სამღვდლო და სამთავრო კანდიდატი უსათუოდ მამრი სქესისა უნდა იყოს; რაც შეეხება მღვდელთნებს, საქირთა იგინიც მამრი სქესისა იყვენ; ბბ) გონებრივის მხრით საჭიროა სამღვდლო, სამთავრო და სამეღვდლო კანდიდატს საშუალო საზოგადო განათლება ჰქონდეს მიღებული, მაგრამ დროებით, სანამ ასეთი კანდიდატის შოვნა გასაჭირია, შესაძლოა საკრებულო წევრთა კანდიდატად წამოყენებულ იქნას ისეთი პირიც, რომელსაც მიღებული აქვს არა უმცირეს დაბალის საზოგადო განათლებისა (მაგალითად: პროგიმნაზიისა, ოთხ-კლასიან სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებელთა კურსისა); ამასთანავე როგორც სამღვდლო, ისე სამთავრო და სამეღვდლო კანდიდატმა უნდა იცოდეს წირვალოცისა და მღვდელმოქმედების წესები, რაც წინდაწინვე (არჩევნებამდე) უნდა იყოს შემოწმებული რომლისმე საოლქო საბჭოსაგან; ამგვარათ შემოწმებულ კანდიდატების სიები საქირთა სეპარაქიო საბჭოშიც ინახებოდეს; კანდიდატის ზნეობრივ თვისებათა გარკვევა და გამოცნობა თვით ამომრჩევლთა ნდობისა და სინდისის საქმეა.<sup>1)</sup>

ვ) კრებულის წევრთა არჩევა, კრებულის წევრებს ირჩევს სამრევლო კრება, რომელსაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობას უწევს საოლქო საბჭო ან, მისივე მინდობილობით, ერთ-ერთი მისი წევრი.

<sup>1)</sup> წდგანებით სამღვდლო ზარად ასრჩევი უნდა იყოს არა უმცირეს 20 წლის; ზოგიერთების ზარი; არა უმცირეს 25 წლის.

არჩევის შემდეგ, საოლქო საბჭოს წარმომადგენელი შეადგენს საარჩევნო სიგელს და სამღვდლო და სამთავრო კანდიდატს წარუდგენს ეპისკოპოსს საკურთხად, ხოლო მღვდელთნებს—დასამტკიცებლად.

**შენიშვნა.** საკათედრო კრებულის მდგომარეობისა და რაოდენობის გარკვევა უნდა გადაიდგას საკათალიკოსო საბჭოს არჩევამდე.

III.

**მაქსისის ქონებრივი უზღუდვანი და სამღვდლოების რჩენის წესი.**

§ 24. ეკლესიის ქონებრივი უზღუდვანი. როგორც იურიდიულს პირს, მრევლსა და სრულიად საქართველოს ეკლესიას უფლება აქვს სარწმუნოებრივისა და საქვე-მოქმედო მიზნით რაიმე ქონება შეიძინოს როგორც ყიდვით, ისე ანდერძით და შემოწირვით.

§ 25. სამღვდლოების რჩენის წესი. აუცილებლად საქირთა შეიცვალოს არსებული წესი სამღვდლოების რჩენა-შენახვისა. დღევანდელი სამღვდლოება ჯამაგირს იღებს ხაზინიდან,<sup>\*)</sup> ხოლო საზრდოსა და წვირლ-წვირლ შემოსავალს — ხალხისაგან. აქედან წარმოსდგება თვით სამღვდლოების მდგომარეობის ორტოფობა: იგი არც მთლად ხალხს ეკუთვნის და არც მთლად მთავრობას, რაიცა ჰქმნის მრევლისა და სამღვდლოების გამწვავებულს ურთიერთობას. რომ ეს უნებრული მდგომარეობა მოისპოს და სამღვდლოება მარტო მორწმუნებს ეკუთვნოდეს, საქირთა სამღვდლოებას ინახავდეს მარტო ის, ვისაც იგი ემსახურება, ე. ი. მრევლსა ანუ მორწმუნებს. მაშასადამე, პრინციპიალურად, საქირთა მრევლმა ზარდაზარ თვითონ უზრუნველ-ჰყო თავისი კრებული, საქართველოს ეკლესიამ—თავისი სამღვდლოება.

§ 26. მაგრამ, სანამ ის საეკლესიო ქონებანი, რომელნიც ხაზინის ხელში გადავიდა და დღესაც ხაზინის ხელში იმყოფება, ქართველი ხალხს არ დაუბრუნდება და სანამ იმ საეკლესიო ქონებათა ღირებულება, რომელნიც კერძო პირთა ხელშია გადასული, მომავალს საკათალიკოსო საბჭოს არ გადაე-

<sup>\*)</sup> ჯამაგირს იღებს ნახევარი სამღვდლოებისა 400 მან. და ნახევარი კრებულთა 100 მანეთიდან 200 მანეთამდე და ზოგიანს სრულდებით არ იღებენ ჯამაგირს.



ცემა საქართველოს ეკლესიის მოთხოვნებიანა დასაკმაყოფილებლად; აგრეთვე, სანამ ის ჯამი, რომელიც დღეს ქართველ სამღვდლოებს ხაზინიდან ჯამაგირად ეკლავა, ხალხის სახელმწიფო გადასახად არ ჩამოეკლვება, მანამდე ქართველი სამღვდლოება მარტო ხალხს ვერ დააწევება სარჩენად; ამიტომ, სანამ რუსეთის ან კერძოდ კავკასიის დამფუძნებელი კრება სამღვდლოების რჩენის საკითხს გადასწყვეტდეს, სახელმწიფო ვალდებულია ქართველ სამღვდლოებს ჯამაგირი აძლიოს; ხოლო მრევლმა იმდენი მისცეს, რამდენიც უზრუნველ-ყოფს მათ არსებობას.



**ქრისტიან—კანონმდებელი.**

(ფრანგულიდან\*)

უსამართლობა არის უფლების უარყოფა. მონობა კი ყოველგვარ უფლებათა უარყოფაა. ძველი რომის საზოგადოებაში მონა, პირუტყვად—კიდევ მეტ უბრალო ნივთად ითვლებოდა; ის იყო უმწიფო და ყოველ გვარ მფარველობას მოკლებული მსხვერპლი თავის პატრონის მტარვალობისა, და თუ მონა ქალი იყო მაშინ ის შეადგენდა მხოლოდ მდბალი—პირუტყვული გართობის უბრალო საგანს. რა ვაკეთა ამ მხრით სახარებამ? მან განამტკიცა სინდისის და განცემის კეთილი მიდრეკილებანი და აღამხედრა ესენი ამ დღიად საზოგადოებრივი უსამართლოების წინააღმდეგ. როგორ მოიქცა ის ამ შემთხვევაში? ქრისტიანებს არ შეეძლოთ გამოეცათ სამოქალაქო კანონები მონების განთავისუფლების შესახებ, რადგან მათ ხელი არ იყო უფლება. მათ არ შეეძლოთ თავისი ქადაგებით ამბოხება გამოეწვიათ საზოგადოების უკმაყოფილო და ჩაგრულ ნაწილში, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა მათ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ შეხედულებათა და დადგენილებათ, გარდა ამისა ამ საშუალებით იმ დროინდელ საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ პირობებში მწიკი იყო მიზნის მიხწევა, რაიცა აშკარათ დაამტკიცა იმ 70,000 მეამბოხე მონათა ლაშქარმა, რომელ-

მაც ცნობილის სპარტაკის წინამძღოლობით მთელი იტალია სისხლით და ცეცხლით დაჰფარა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა პომპეისა და კრასის მეოხებით დამცხრალიყო, ისე კი რომ ოდნავადც ვერ გააუმჯობესა მონათა მდგომარეობა; პირიქით მას შემდეგ ისინი უარეს პირობებში ჩაცვიდნენ. სახარებამ კი ამ დროს მოაგონა გაბალიდებულს რომის საზოგადოებას, რომ მონაც კაცია,—რომ ყველა აღამიანები ძმები არიან. გადიკითხეთ პავლე მოკატულის ეპისტოლე ფილიპონისადმი, როდესაც მან ამ უკანასკნელს დაუბრუნა გაქცეული მონა. თქვენ აქიზოვით ნამდვილ ქარტიას—(სიგელს) რომელიც სულ ერთიან სპობს მონობას. ამით, რასაკვირველია, საფუძველი ჩაიდო, შემდეგ ეკლესიამ შეუდგა ამ საფუძველზე შენობის აგებას. ეკლესიას როგორც ვიცით, არ შეეძლო სამოქალაქო კანონების გამოცემა, მაგრამ ის აცხადებს ეკლესიურ დადგენილებათა, რომელთა აზრი და მნიშვნელობა ყველასთვის ცხადი იყო. ამ დადგენილებათა ძალით, მაგალითად, ბატონი ვალდებულია შეირთოს ცოლათ ის მონა ქალი, რომელიც მან შეაცდინა, ნამუსი ახადა. ასეთი ცოლ-ქმრული კავშირი კი მაშინდელი კანონების მიერ ყოველად შეუძლებლათ იყო აღვიარებული. ბატონი, რომელმაც უსამართლოთ აწვალა და სტანჯა მონა, შეწვენებულ-განგდებულ უნდა იქმნას ეკლესიადგან. მონას ებრძანების არ დაემორჩილოს თავისს ბატონ-პატრონს ისეთ საქმეში, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ღვთის კანონს. წმ. საიდუმლოთა მიღების დროს ქრისტიანი მონა რჩება ეკლესიაში, ხოლო ბატონი, თუ ის კათაქმეველია ანუ განმზადებულია—უნდა გვიდღეს ეკლესიადან. მონა, რომელმაც საეკლესიო სასახურის რომელიმე ხარისხი მიიღო, ეკლესიის შეხედულებით თავისს ბატონზე მაღლა სდგას. აი, რა საშუალებით სცილობოდა ეკლესია შემესუბუქებია მონებისთვის უღელი. იმავე დროს ქრისტიანულ გრძნობათა გავლენით თანდათან ისახებოდა და იფურჩქნებოდა აზრი მონათა განთავისუფლების შესახებ. ტროიანის დროს რომის პრეფექტმა გერმესმა განთავისუფლა აღდგომა დღეს 1250 მონა და თვითელი მათგანი დასაჩუქრა რათა ოდნავათ მიინც

\*) იხ. „მწიქსი“ № 22, 1905 წ.

უზრუნველ ეყო მათი ეკონომიური მდგომარეობა. დომიციანის დროს რომის მეორე პრეფექტმა განათავისუფლა 1400 მონათლული მონა და თავისი ასეთი მოქმედება შემდეგის აზრით დაასაბუთა: „ქრისტიანებს, როგორც ღვთის შვილებს, არ შეშვენიის ადამიანთა მონობა“. ამ გვარათ მონობის გაუქმების აზრი ნელნელა იკავადლა გზას და უახლოვდებოდა სამოქალაქო კანონებში განმტკიცებას. მაგრამ სანამ ეს მრავალ მნიშვნელოვანი აზრი კანონის ძალას მიიღებდა, მანამდის ევროპის ისტორიაში მოხდა დიდათ დამაღონებელი და სამწუხარო ფაქტი, რომელმაც რამდენიმე საუკუნით შეაწვრა ქრისტიან ხალხთა ნიადაგზე მონობა. პორტუგალიელებმა დაატყვევეს აფრიკის მიერები; მაჰმადიანებმა თავის თანამემამულეთა ბაღათ მოიყვანეს პორტუგალიაში აფრიკის მკვიდრნი—ნეგრები. ამ გარემოებამ-კითვით პორტუგალიელებში აღძრა ბოროტი სურვილი ნეგრების შოვნა-შეძენის. ესენი თვით გაემგზავრნენ აფრიკაში და აი, ერთ უბედურ დღეს, სახელდობ 1444 წელს, ევროპის ნაპირებს მოადგა ნეგრებით დატვირთული პირველი გემი. აქედან კი იწყება სამარცხვინო ვაჭრობა ნეგრებით, რომლის ზრდასა და გაფართოებას თვალსაჩინოთ შეუწყო ხელი ამერიკის აღმოჩენამ, სადაც ევროპიელ ახალშენებში იგზავნებოდნენ ისინი (ნეგრები). ამგვართ ამ ახალ ქვეყანაში ღრმად გაიდგა ფესვები მონობამ და განტკიცდა, მაგრამ შეცდომა იქნებოდა ვეძიოთ ამ საზიზღარი ვაჭრობის დასაწყისი ამერიკაში ევროპიელთა დამკვიდრებაში. ქრისტიანთა კოლონიაში კიდევ ბალდი იყო, როცა პორტუგალიაში პირველად გაჩნდნენ მაჰმადიანების მიერ მოყვანილი ნეგრები—როგორც ბაზარზე გამოტანილი ნივთები. ევროპის ყველა ერებმა მიიღეს მონაწილეობა ამ უსამართლობაში; პორტუგალიელებმა ღესანაწლებმა დაიწყეს, შემდეგ იმათ მაგალითს მიჰბაძეს ინგლისელებმა, ფრანგებმა და ჰოლანდიელებმა. ევროპაში ეს ბოროტება შემთხვევითი და წარმავალი იყო, მაგრამ შეერთებულ შტატებში საოცარის ძალით

განმტკიცდა ის და გაგრძელდა გასული საუკუნის მესამოცე წლებამდის. დასასრულ ამ უსამართლობის წინააღმდეგ აღმოაღლა ხმა მთელი კაცობრიობის სინიღისმა, რასაც შემდეგთ მოყვა ნეგრებით ვაჭრობის მოსპობა და შემდეგ სრულიად განთავისუფლება მონების. დაიშხვრა მონობის ბოროტი ამერიკაში, ამავე დროს რუსეთში მოისპო და ისტორიის სამკვიდროს გადაეცა—მონობის მეორე სართული—ბატონჯობა. ბრაზილიაში გამოცხადებულ იქნა ბრძნული და პროგრესიული კანონი თან დათან განთავისუფლებისა. ასე რომ ეხლა ქრისტიან ხალხთა ნიადაგი, გარდა რამდენიმე უმნიშვნელო გამონაკლისის, გაწმენდილია მონობისაგან. რა გავლენის მეოხებით მოხდა ყოველივე ეს? ამ კითხვაზე რომ უპასუხოთ, საქირო არ არის ძველი არხივების და საბუთების ჩხრეკა, რადგან ასეთ კვლევა-ძიებას ხშირათ შეცდომებში შეეყავართ. საქმე ეხება არა შორეულ წარსულს, არამედ ისეთს ამბებს, რომელნიც ჩვენთვის დღესავით ნათელია. ვინ მოითხოვა პირველათ მონების განთავისუფლება ამერიკაში? ამერიკელ კვაკერებმა, რომელთაც განაცხადეს, რომ მონობა მწინააღმდეგება სახარებასაო. ვინ იცავდა ინგლისის პარლამენტში შევკანიანთ დიდის მკერმეტყველობით და თვგამოდებით? გულწრფელი და ქეშპირტი ქრისტიანები ვილბერფოსი და ბუქსტონი. რა აზრით არის განცხობელებული „წიგნი ბიძია ტომის“ შესახებ, რომელმაც თვალსაჩინოთ განაყოფიერა საზოგადოებრივი მიდრეკილება მონობის გაუქმებისადმი? ამ წიგნს მთლათ ქრისტიანული სული აქვს შთაბერილი. როგორმა გრძნობებმა გამოიწიეს რუსეთის მეფის ალექსანდრე მეორის 19 თებერვლის მანიფესტი, რომლითაც მან მიანიჭა თავისუფლებაოც მილიონ ადამიანს?... ამის პასუხი თვით მანიფესტშივე მოიპოება, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდება: ეხლა კი გადაისახე ჯვარი კეთილმსახურო ხალხთა და შეუერთე შენი ლოცვები ჩვენსას, რათა გარდამოვიდეს უზენაესის კურთხევა შენს პირველ თავისუფალ შრომაზე“.

ნუ-თუ მეთვარამეტე საუკუნის ფილოსოფიას თავისი წვლილი ღვაწლი არ მიუძღვის მონათა განთავისუფლების საქმეში? ნუ-თუ ქრისტიანობის ძალას უნდა მიეწეროს კანგენტის განაწინი (დეკრეტი) რომლითაც გაუქმებულ იქმნა მონობა? დიად, ყოველივე ეს იყო ნაყოფი ქრისტიანული სწავლის გავლენისა; მხოლოდ აქ ჩვენ ვხედავთ საგულისხმო განყოფას, რომელიც შეიძლება მოხდეს ცივილიზაციისა და მისს წარმოშობ სარწმუნოებას შორის. როდესაც გვინდა წარმოვიდგინოთ და გავიცნოთ ადამიანთა ასეთი თუ ისეთი მოქმედების წყაროები, აუცილებლათ უნდა განვიხილოთ და შევისწავლოთ ის ძალები და გავლენანი, რომელთა მოქმედებით შემუშავდა ადამიანთა გონებრივი მსოფლ-შეხედვლობა. ქრისტიანულმა გარდამოცემამ შექმნა მე-18 საუკუნე თავისი გონებრივი ავლადილებით. ამ დროქის ყველა კეთილშობილი, მოღვაწეები და ეღობუნებოვანი ადამიანები, თუმცა მოწყვეტილი იყვნენ ეკლესიისა და სარწმუნოებისაგან, მაგრამ აშკარათ ღაღადებდნენ თავის განკეთებებს სახარების ზნეობრივ სწავლისადმი. აქედან აშკარა სინამდვილე სახარების გავლენისა მე-18 საუკუნის აზროვნობაზედ, რომ მხოლოდ სახარების სწავლის საფუძველზე აღორძინებულმა ფილოსოფიამ მიიღო მონაწილეობა იმ დიად სოციალურ უსამართლოებასთან ბრძოლაში, რომელსაც მონობა ჰქვიან, და არა—უბრალო გონებრივმა განვითარებამ, ანუ ეგრეთ წოდებულმა წმიდა ფილოსოფიამ, ამას მჭერმეტყველურათ ცხადად-ჰყოფს ის გარემოება, რომ ინდიველთა და სპარსთა ფილოსოფიას, რომელსაც არ აკლდა არც შინაგანი ძალი და არც გარეგანი სილამაზე, არ გაულაშქრნია მონობის წინააღმდეგ. ნუ თუ შემთხვევითია ის მოვლენა, რომ ერთადერთი ფილოსოფია რომელიც მხურვალე და თავგამოდებული მონაწილეობა მიიღო ამ სასახლო ბრძოლაში, არის ფილოსოფია საქრისტიანო ერებისა? არა, ეს არ შეიძლება ავიღნათ უბრალო შემთხვევით: მე-18 საუკუნის განმანათლებელნი, რომელთაც დღევანეს მონათა განთავისუფლების ასპარეზზე, ემსახურებოდნენ ქრისტიანობის საქმეს.\*

მდ. ღა—ტა ჩხაკაი.

**ცარიელი სული.**

მღვდლის პეტროვის ინსულედიან.  
(დასასრულია.)\*

ამას წინად მოსკოვში ასამართლებდნენ 18 წლის მკვლელს. ეს არ ყოფილა სოფლის უბრალო ყმაწვილი. ეს იყო ექიმის მოსწავლე და ემზადებოდა კბილის ექიმად, ჰქონდა თავის შესაფერი განათლება, მაგრამ ნიკოსავით იგი დამონებოდა გაუმადლარ მუცელს.—არც ოჯახი, არც სკოლა, არც საზოგადოება არ აღვიძებდნენ მასში კაცობრიულ კეთილ გრძნობებს. მას არ ჰქონდა წარმოდგენა მშვიდ კეთილ პატიოსან შრომაზედ. მის ელანაარაკებოდა მუცელი. ეს იყო ბრიყვი, რვეგენი, გაუმადლარი ცხოველი. წინამძღვარი,—მისი მასწავლებელი იონავერი იყო, მასსავით ცხოვრების შემაქტევარი; მის შემოსავალი იხარჯებოდა ქეიფში და ალაღებდა თავის სხეულს. მშვენიერი ბალები, ქალები და სხეულის გასამხიარულებელი საგნები იყო მოსწავლის წინ ყოველ დღე—მასწავლებელთან.

ყმაწვილი ხედავს ყოველ დღე მასწავლებელს ფუფუნებაში, ღღესასწაულზედ დროებას ტარებაში. ამბობს მოსწავლე:—როდის მოგესწრები მეც ამდენ ფულის შოვნას და დროების იხრებას, რომ უთხრა ჩემს სულს: „სქამე, სვი და იბაროლუე“.

ღმერთზედ, სახელზედ და სიმართლებზედ მას აზრიც არ მოსვლია,—გატიტვლებული ყმაწვილი, ესმის მხოლოდ მუცლის ყმუილი. სიმდიდრე თავისით არ მოდის, უნდა მოიტაცო იგი ძალით,—ექიმის მოსწავლე მშვიდად და წყნარად, როგორც ავად-ყოფისთვის ამოგიძვრა კბილი,—უსპობს თავის მასწავლებელს სიცოცხლეს. იღებს ნაჯახს, დაარტყამს თავში მასწავლებელს ორჯერ, მასწავლებელი ეცემა უგრძნობლად, ისვრება სისხლით, მაგრამ კიდევ სუნთქავს. მკვლელი შევარდება სამზარეულოში მოაქვს ბაწარი უჭერს ყელში და სრულიად ათავებს,—კატსტროფა სიკვდილისა თავდება.

შემოდის ვიღაცა, რეკავს სახლის პატარა ზარს. მკვლელი წყნარათ, აუჩქარებლათ იბანს სისხლიან ხელებს—და კარებს უღებს მოსულს ვინავერის მეგობარს. მოსული ვინავერს კითხულობს; მკვლელი ეუბნება: ვინავერი საღლაცა წავიდა საღამომდის შინ არ დაბრუნდება. სტუმარი უკანვე გაბრუნდება.

\*) იხ. „მწვემისა“ № 22, 1905 წ.

\*) ყველა ეს ცხადია ვისაც განების მხედველობა არ დამსია. გონებით ბრძმებს კი ჰვანძია, რომ ქრისტიანობა იყოს მიზეზი ხალხთა დამონებისა. ან-კი რა ცოდნა უნდა მოვსთხოვოთ ქრისტიანობისა მათ, რომელთაც სახარება არ წაუკითხავთ! .

რედ.



მკვლელობის შედეგად, იღებს გაცივებულ ვინავერის გვამს, შეაქვს პატარა ოთახში და კეტავს მას. თითონ იცვამს ვინავერის ტანსაცმელს და მიდის სადღაც. პეტერბურგში ერთს კაცის ბინაზედ იგი დაიპირეს და გაასამართლეს. მასში ვარდა ბრძოლა, მხეტარობა ცხოველური გრძობისა არა იყო. იგი ხელავს ცხოველური მშვიდობის მეგობარს თვალთ.

ერთ დროს თითქმის მასთან ასამართლებდნენ ორს ახალგაზდა ქალებს, რომელთაც განიზრახეს ერთი მდიდარი ქალის მოკვლა. იმათ განათლება ჰქონდათ მდიდარი გინეზიაში. დიდ ოჯახებში იყვნენ კვირა მასწავლებლებით, ფიქრობდნენ სწავლის გაგრძელებას, მაგრამ იმათი მიზანი იყო არა მცენიერების შექმნა; ბავშვების აღზრდა და ქვეშაობის დედობა მათ ახრათაც არ მოსდიოდათ. იმათი მიზანი იყო დიპლომის მასწავლებლებით მოვლავებით დიდხანს ფული და ეცხოვრათ ფუფუნებით.

მასწავლებლობა, პატიოსანი შრომა და მით პურის ქამა მათ საზიზღრათ მიანდათ.

ამათ გადასწყვიტეს მდიდარი ქალის დახრჩობა, რომელსაც დაქორავებული ყავდა იგინი მასწავლებლებით. მათდა საუბედურათ მათი ფიქრი გაცრუვდა. იგინი შეიპყრეს. სასამართლომ იგინი იცნო შეშლილებათ და ჩასვეს სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში.

იგინი შეშლილი იყვნენ მუცლის შეგანებით. მათი ზნეობა შეშალა გაუმაძღარმა მუცელმა. მათ წინ მიუძღოდა მუცელი.

როგორც ყველი ასახიჩრებს პირის სიმშვენეირებს, ისეთ მუცელმა შელახა დასახიჩრა მათი სულის მშვენეირება. მიუხედავად მათი სწავლისა იგინი შეიქნენ ტიტველი, გარეული მხეტები.

ამ გვარი სიკალიერე, დაცემა სულისა წარმოსდგება არა ნორმალური სწავლისა და პირობების ატმოსფეროში, ისეთ როგორც ყანგი წარმოსდგება ხოლმე არა ნორმალური პირობებისა გამო. მცენიერებმა დამატკიცეს, რომ ყოველივე ორგანიზმისთვის საჭირო არის «კისლოროდი». ჩასვეს ქიქაში თავი, ჩადვეს ანთებული სანთელი ქურჭელში, შემდეგ მოწყობილი მანქანით გამოსწულეს ქურჭლიდან ჰაერი, თავივე მოკვდა, სანთელიც დაქრა.

ამგვარადვე ემართება ადამიანს. დაბადებისთანავე ბავშვს თან ყვება ნაპერწკალი ღვთისა. კარგს პირობებში ეს ღვთისგან მინიჭებული ნაპერწკალი

რთულდება, იზრდება პროგრესიულად და ზნეობრივად, ამაღლებს კაცს სულიერად. ცუდს პირობებში კი ვხედავთ წინააღმდეგს.

არც სკოლა, არც ოჯახი, არც საზოგადოება არ ცდილობს პატარაობიდანვე ჩაუნერგონ ბავშვებს გულში სულიერი კისლოროდი, მინიჭებს მათ ქვეშაობით ადამიანური გრძობა და მისცეს წინ-მსვლლობა მათ სულიერ ზნეობრივ მხარეს. მართალია წარმოითქმება მრავალგზის სკოლებში და ზოგიერთ კარგს აღზრდულელებსაგან რამოდენიმე ლითონი სიტყვა ბავშვების ზნეობრივ აღზრდაზედ, მაგრამ ეს სიტყვები არიან კედელზედ მიყრილი მარცვლები, ეს სიტყვები არიან მხანკიური და ბავშვების უმანკო გულში და სულში ვერ იპყრობენ მაგარ ფესვებს, ამგვარი ქადაგება მასწავლებლისა ემსახურება ქვიან ადგილზედ დაცვენილ მარცვლებს, რომელსაც ან ჩიტები აეცეკვენ, ან ქვეები შეშობენ.

მოახლოვდება თუ არა დღესასწაული, მშობლები, განურჩევლად მდიდარნი არიან თუ ღარიბნი, გაუჩენელს გააჩენენ და ცდილობენ, როგორმე ბავშვები კარგად გამოაწყონ გარეგნულად, სხვის ბავშვებს აჯობოს, სტუმრებს მოელიან, სახლს ალამობენ, იკმაზებიან ფერით და სხვა საღებავებით. მალავენ, თუ რამე ხვდება თვალს უბრალო, მშვიდი წყნარი. გავლენ ბავშვები, უმანკო არსება, სათამაშოთ მეზობლის ბავშვებთან, ერთმანეთს ლანძღვენ, აგინებენ და ეჩხუბებიან. ერთი მეორეს მოერევა დედასთან ჩივის, დედა ბავშვივით ბავშვს სხვისას ლანძღავს, ამით ბავშვებს უნერგავს სიძულვილს, ამაყობას, ამპარტანებას, სამაგიეროს გადახდას; ბავშვი პატარაობიდანვე ეჩხუვა არა სხვა სხვა ცხოველებს. მისი გონება სანთელივით ნაზი ითვისებს ყოველივეს, რაც მის გარშემო ხდება. ბავშვი, მიწვეული გარეგნულ მხედლეობას, ზიზღით მიჩრებია უბრალოს, სუფთა ტანისამოსს. პატარაობიდანვე თხოულობს საათს, ძვირფას შლიაბას, ფეხსაცმელს მოღისას. ამისთანა პირობებში ქმნიან ტიტველ და ცარიელ სულის ადამიანებს.

ყოველივე აზრი აღზრდელთა მიმართული არის მამდარ, თავისუფალ და ტკბილი ცხოვრებისკენ. ენატრებიან მას, ვინც კარგს ადგილას არის და დიდ ფულს შოულობს; ენატრებიან სასიძოს, რომელიც ბევრს მზითვს ღებულობს, სასძლოს რომელიც მდიდარს სასიძოს პოულობს. ხმას არ იღებენ

მასზედ რომ საზოგადო მძიმე უღელი, რომელიც კაცობრიობას აწევს შეუღსუბუქონ ერთმანეთს. — გვერდზედ სტოვებენ მას, რომ ცხოვრებაში ყველაზედ უჭვირფასესი არის კეთილ-შობლიური გრძნობა, გასაქტაქებული ყველასადმი სიყვარული, მუდმივი მისწრაფება შრომისადმი საზოგადოების სასარგებლოდ. ახალთაობას უწერგვენ სიყვარულის ტკბილ საქმელებისას; ძმობა, ერთობა, სიყვარული, როგორც ზედმეტი მათთვის ზედმეტია. დიდი ქალები უმეტეს ნაწილათ იზიდავენ ახალ-თაობას; იქ გაშლილი არის თვალწინ მრავალი შესაცდენი საგნები. საქუროა ახალ-თაობის დასაფარავთ, გასაკეთილშობილებათ გონიერი ზომები იმ დროიდგან, სანამდისინ ნაპერწკალი ღეთისა არ გამჭრალა მათში.

მღ. ნესტორ აბუსაძე.

### თხალთ ნანახი.

20 ნოემბერს, საღამოს ხუთ საათზე, ტფილი-სიდან ჩამოვიდა ბ-ნი მალაშა. მაგრამ ვერც მისმა მოსვლამ შესცვლა მდგომარეობა. იმ დამე ტფილისისაკენ მატარებელი აღარ გამოუშვეს. მხოლოდ დილის შვიდ საათზე გვეღირსა ამ ჯოჯოხეთისაგან თავის დაღწევა. მე ისევ ყაზახში წაველ ხელცარიელი. ჯარი ვერ გაგზავნეს. ამავე დღეებში ყაზახელებისათვის უკვე ნათლად გამოიჩინა განჯის დრამა. აქაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თოფების გრიალი, მით უმეტეს, რომ აქაურ თათრებსა და სომხებს შორის სხვაგვარი განხეთქილებაც იყო. ესენი დაობდნენ მავრის უფროს არნოლდზე. სომხებს არნოლდის მხარე ეჭირათ, თათრები მისი წინააღმდეგი იყვნენ. თათრების თხოვნით მთავარმართებელმა დაითხოვა არნოლდი, სომხების თხოვნით კი ისევ დააბრუნა თავის აღვილზე. თათრებმა ხელახლად ითხოვეს მისი გადაყენება. მთავარმართებელი კვლავ დაპირდა არნოლდის ყაზახიდან გადაყენას. თათრები ელოდნენ დაპირებულის შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრებოდნენ არნოლდს, „ფაიქტანზე მივაკრავთ და ისე გაგისტუმრებთო“. რად იყვნენ არნოლდზე თათრები უკმაყოფილონი და სომხები კი კმაყოფილნი, ეს ვერ გავიგე. მდგომარეობა დღითი დღე მწვალებოდა. დამლაშობით

ქალაქს იცავდნენ მცხოვრებლებიდან არჩეულნი პირნი, როგორც თათრები, ისე სომხები ერთად. ორივე მხარეს გულწრფელად უნდოდა მშვიდობიანობა. ეშინოდათ მხოლოდ, გარედან არ აერიათ მათი საქმე. მომეტებულად კი თათარ-აღალარების. ეშინოდათ, რადგან ისინი იყვნენ მავრის უფროსზე უკმაყოფილონი. ამავე დღეებში ჩამოვიდა თათრების მუფტი. ის გამოეგზავნა მთავარმართებელს თათრების დასარიგებლათ. თათრები და სომხები ჯერ მეჩეთში შეიკრიბნენ, შემდეგ სომხების ეკლესიაში. ერთმანეთს აღუთქვეს მშვიდობიანობა. ეს მოხდა 24 ნოემბერს. 27-ს საღამოთი კი შუა-ბაზარში იგრილა თოფმა. დიწყო სროლა აქეთ-იქიდან. დაქრა ერთი ქართველი ბიჭი და 1 თათარი მოლა. თოფები პირველად გაისროლეს თათრებმა. თათრებს ვარდა ქალაქში აღარავინ დარჩენილა. სხვები ყველანი კაზარმაში შემოიხიზნენ. მათი რიცხვი 400-მდე იქნებოდა. თათრების შეიარაღებული რაზმი სამი ათასამდე აღიოდა.


ღამის 12 საათზე ქალაქის ის ნაწილი, სადაც სომხები სცხოვრობდნენ, ცეცხლმა მოიკვა. არნოლდის ბრძანებით, ჩაფრებმა ჰაერში რამდენჯერღვე გაისროლეს თოფი; ამან მიინც ვერ შეაყენა თათრები. ამავე დამეს, მთავარმართებლის ბრძანებით, მავრის უფროსი ყაზახიდან წავიდა. დარჩა ქალაქი უბატრონოდ. მთელი დამე და დღე ჩვენ თვალწინ ძარცვა-გლეჯა ხდებოდა. სისხლი კი არ დაღვრილა; რადგან არც ერთი სომხი არ დარჩენილა ქალაქში.

ოცდა-რგის საღამოთი განჯიდან ჩამოვიდა 40 ჯარის-კაცი. ოცდა-ცხრას დღით თათრებმა კვლავ მოიყარეს თავი სოფლებიდან ისინი მოდიოდნენ ქალაქისკენ. მათი რიცხვი 2000-ს აღემატებოდა ექვი არ იყო, დიდი განსაცდელი მოელოდა კაზარმაში შეფარებულ სომხებს. კაზარმელებს 40 ჯარის-კაცი გაიგზავნა თათრების საწინააღმდეგოდ. მათს პირველ გასროლას არ შეუშინდნენ თათრები. მეორეზე კი იბრუნეს ზურგი. რიცხვით 56 კაცამდე მოკლული და დაჭრილი თათარი აღმოჩნდა. ჯარის-კაცები იძულებული იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ 400 სულის სიკვდილისაგან გადასარჩენად. როცა ჯარი თოფებს ისროდა, ქალაქიდან მოეშველა მას ათიოდ შეიარაღებული მშვიდობიანი მცხოვრები თათარი.

სალამოდე ქალაქში სიწყნარე იყო. 4 საათზე



შენიშნეთ, რომ თათრები კვლავ იკრიბებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და ქალაქისკენ მოიწვედნენ, მაგრამ ჯარის მიახლოებაზე გაიფანტნენ. შემდეგ აღარაინ გამოჩენილა ქალაქის ახლოს, თუმცა შორიდან ქალაქის ირგვლივ იდგნენ. პატარა მაგრამ მოხდენილი ქალაქი ყაზახი ახლა მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენდა. საშინელი სურათი იყო. (ივ.).



**რუსეთის რკინის გზების საერთო გაფიცვა.**

მთავრობა, რომელმაც უკან დაიხია ოქტომბრის საერთო გაფიცვის წინაშე და იმავე თვის 17 გამოსცა მანიფესტი სიტყვის, კრების, კავშირთა თავისუფლების და პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ, ახლა უარს ეუბნება თავის მანიფესტს და, ნაცვლად სიტყვის თავისუფლებისა ის ხუროთა საუკეთესო გაზეთებს, ნაცვლად კრებათა თავისუფლებისა, ყველას მიერკება კრებიდან, ნაცვლად კავშირთა თავისუფლებისა დაპატიმრებით იმუქრება რკინის გზის თუ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირში მონაწილეობის მიღებისთვის; ნაცვლად პიროვნების ხელშეუხებლობისა ცინეში ამწყვედეს მუშათა საბჭოს დეპუტატებს პეტერბურგში, გლეხთა კავშირის წევრებს მოსკოვში და სხვა მოქალაქეებს რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. მთავრობამ ასი ათასობით ქუჩაში გამოჰყარა ქარხანა-ფაბრიკების მუშები, გენერლების და ტყვიის მტყორცნელთა საშუალებით ამშვიდებს გლეხებს და სავიცი-სამხედრო წესების მიხედვით სჯის აჯანყებულ სალდათებსა და მატროსებს. ამხანაგებო! თითოეულმა ჩვენ განმა იცის, რომ ზემო აღნიშნულ თავისუფლების და ორგანიზაციითა კავშირების გარეშე ჩვენი ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესდება, არამედ უარეს მდგომარეობაში ვარდება. მთავრობა კოტრდება და ჩვენც დაკარგავთ იმ ორიოდ გროშასაც, რომელიც შავი ღლისთვის შემონახული გვაქვს საპენსიო კასებში. მთავრობა, არღვევს რა 17 ოქტომბრის მანიფესტით მონიჭებულ თავისუფლებას, თითონ გამოადის მემობოხზე, თვითონ იწვევს აჯანყებას, რადგანაც თითონვე არღვევს თავის მიერ გამოცემულ კანონს. ამხანაგებო! მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. მთავ-

რობა გვიწვევს ახალ ბრძოლისთვის. დეე, ასე იყოს! თითონ მთავრობამ ავსო პასუხი იმ შედეგებისათვის, რომელიც მოჰყვება ამ ბრძოლას. 29 რკინის გზის დეპუტატების კონფერენცია, სრულიად რუსეთის რკინის გზის ცენტრალურ ბიუროსთან შეთანხმებით და პეტერბურგის და მოსკოვის მუშათა დეპუტატების დადგენილების თანხმად, აცხადებს 8 დეკემბერს საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას. ვაცხადებთ-რა ამ გაფიცვას, ჩვენ ელემენტობა ჩვენ თავზე მანჯურიიდან რუსეთში ჯარების დაბრუნებას, ამას ჩვენ მოვხდენთ უფრო ჩქარა, ვიდრე მთავრობა. ამასთანავე მიემართავთ ჩვენს ძმებს, მანჯურიის მხედრობას, რომ მათ გზაში დახმარება აღმოუჩინოთ ჩვენს ორგანიზაციებს, დაიცვან ჩვენ მიერ დადგენილი წეს-რიგი. იმ მგზავრებს, რომელთაც გაფიცვა გზაში მოუწევრებთ, ჩვენ მოვიყვანთ მახლობელ ქალაქში. ამას გარდა, ჩვენ მივიღებთ ყველა ზომებს, რომ დამშეულ გლეხებს მივაწოდოთ პური.

სანამ მთავრობა არ მოხსნის სამხედრო და გაძლიერებულ დაკვის წესებს, სანამ თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა და პიროვნების ხელშეუხებლობა განსაცდელშია, მანამ უნდა გაგრძელდეს ეს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

რუსეთის კავშირის ცენტრალ. რ. გ. ბიუროს კონფერენცია. (ივ.)

**ახალი ამბები და შენიშვნები.**

\* \* \* \* \* სწერს: 29 ნოემბერს, ჩვენი რედაქციის წინ, იარბურკის ბოლოში, მთელი ჩვენი რედაქცია სამხედრო სახიზღარ მხეცობის მოწამე შეიქმნა. ნაშუადღევის ასე პიროველი საათი იქნებოდა, როდესაც ვანკის ქუჩით, ხიდის მხრიდან ორი თათარი მორბოდა. საიდან გამოვიდნენ, როგორ გაჩნდნენ ეს თათრები, ვერ გავიგეთ, ამბობენ, დამალულები იყვნენ და ეხლა გამოსულიყვნენ საფარიდან. როდესაც დამფრთხაობა, შეშინებულმა თათრებმა იარბურკაზე შეუხვიეს, იქით-აქიდან გაჩნდა ოცამდე სომეხი, რომელთაც უწყალოდ და უღმერთოდ დაუშინეს რვეოლოგრები თათრებს. ისრაღეს თითქმის თუთხმეტკერ. თათრები იქვე მოკლეს. მაგრამ ნაღირება ესეც არ აკმარეს და მოკლულებს

ერთი ათჯერ მიინც დაახალეს რევოლუციური და დაუშინეს კეტები. არც ამას დასჯერდნენ და ერთს ფეხით თრევა დაუწყეს. ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ, რომ თათრებს, ამ საწყალ და ლუკმა პურისთვის დატანჯულ მუშებს, არ უსროლიათ და არც ჰქონდით სასროლი იარაღი. ორივე თათარი სპარსელები იყვნენ. ერთი თათრის გვაბი სომხებმა მტკვარში გადააგდეს.

\* კავკასიის ნამესტნიკმა შეიწყინარა შუამდგომლობა ტფილისის თეთიმართველობისა, რომ ნ. ე. ზუბალაშვილის მიერ შეწირულის ფულით ტფილისში აგებულ თავშესაფარს დაერქვას შემომწირველის სახელი.

\* \* \* ვლადივასტოკი. იქაურმა ჯარმა აფიცრება და ყველა უფროსებს განუტყუა: თუ ნდლის განმავლობაში არ შეგვატყობინებთ, თუ როდის გაგვავხანებთ სამშობლოში, მთელ ქალაქს დაზარავთ, გემებს დაწვავთ და თქვენც დაგზოცავთო, ჯარი უკვე აჯანყდა, ციხე-ფორტები აიღო და პასუხს ელის. ტელეგრაფი ვლადივასტოკსა და ხარბინს შუა არ მუშაობს.

\* \* \* ამას წინაღ სახელმწიფოს დამცველ საბჭოს კრება ჰქონდა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით. კრებაზე ყველამ აღიარა, რომ მთელ რუსეთში ჯარი ღელავს, რასაც შეიძლება დიდი უბედურება მოჰყვესო.

\* \* \* ამას წინეთ რუსეთის ვაზეთები საზოგადოებას აფრთხილებდნენ, თუ გაქვთ ფული ხაზინაში, ან შემნახველ კასაში, ჩქარა გამოიტანეთ, თორემ, დღეს თუ ხვალ, ხაზინა გაკოტრდებაო. ეს ამბავი უკვე მართლდება: პეტერბურგში მექარხნე აივანოვმა მუშებს გამოუცხადა, ანგარიშს ვერ გაგისწორებთ, რადგან «ჩრდილოეთის ბანკი» (მდიდარი ბანკია) ანგარიშს არ მისწორებს და ჩემ ფულს არ მადღევსო. საზოგადოება დაფაცურდა და ბანკებთან ფული გამოაქვს. სახელმწიფო ბანკიდან თავის ფული (3 მილ. მან.) გამოიტანა, სხვათა შორის, პეტერბურგის ქალაქის მოურავად ნამყოფმა ლელიანოვმა, რომელიც საზღვარ გარედ მიდის. საზოგადოდ, უკანასკნელ დღეებში რუსეთიდან აუარებელი ხალხი მიდის საზღვარ გარედ. ამ ცოტა ხანში 30,000 კაცი წავიდა საზღვარ გარეთ.

\* \* \* ლიფლიანდის გუბერნატორმა ხელმწიფებს შეატყობინა: ლატიშები აჯანყდნენ და პოლიტიკურ

დამოუკიდებლობას თხოულობენ. ნება მომეცით, ლიფლიანდის გუბერნიაში სამხედრო წესები შემოვიღო. გუბერნატორმა სურვილი აისრულა და გუბერნიაში სამხედრო წესები შემოიღო. დღეს ჯარი შეიყვანეს ამ გუბერნიებში და სასტიკი რეპრესიების წყალობით თითქმის სამუდამოთ ჩაქრან ვგონებ რევოლიუციონური მოძრაობა ხალხში.

\* \* \* ბათუმი, ქუთაისი და ფოთი ერთხმად თხოულობენ, ყაზახები მოგვაშორეთ, რადგან მათსა და მცხორებთ შორის ძალიან გამწვავდა საქმე და შეიძლება მეტად ცუდი შედეგი მოჰყვეს. ტფილისში 7 დეკემბერს ოზურგეთიდან ჩამოვა ცხრა სოტნა ყაზახი თავის შტაბით. ვერ გავიგეთ, ამ ყაზახებს აქ დაბინავებენ, თუ სამშობლოში გაგზავნიან.

\* \* \* დ. ონში სახელმწიფო დაწესებულებათა საყარაულოდ იღდა 1 როტა ბესარაბიის პოლიცია. როცა როტამ სათადარიგო ჯარის-კაცები გაისტუმრა, დარჩა 18 კაცი, რომელთაც აღარ ისურვეს ონში დარჩენა, მიატოვეს ონი, ხაზინა და ფოსტა უყარაულოდ დარჩა. როგორც ისმის, ონში ახალ ჯარს ჰგზავნიან.

\* \* \* 4 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა სახლის პატრონთა კრება თავდაცვის ორგანიზაციის შესამუშავებლად. კრებამ დაადგინა აირჩიონ ბიურო, რომელმაც უნდა განაგოს ქალაქში თავის დაცვის საქმე. ჯერ პოლიციის ნაწილის მცხოვრებნი ცალკე მოილაპარაკებენ, შემდეგ წარმომადგენლებს აირჩევენ.

4 დეკემბერს თათართა და სომეხთა შემარიგებელი კომისია ეტლებით გაემგზავრა პოლიციის მე-6 ნაწილში და იქ შეიხულ ისლამის სახლის წინ გამართა მიტინგი. კომისიის წევრებმა განუმარტეს თათრობას, რა დამლუპველ მომავალს უშუადებს ორივე ერს გაუთავებელი მტრობა. ასეთივე მიტინგი კომისიამ გამართა ავლაბარში.

\* \* \* ქუთაისში ქალაქის დარაჯებმა დაიწყეს მოქმედება. ქუჩებზე ხშირად შეხვედებით ახალ-გაზდებს, რომელთაც ხელზე შემოხვეული აქვთ თეთრი ტილო, რომელზედაც სწერია შედეგი ასოები:  $\frac{F. O.}{N}$  ესენი არიან ქალაქის დარაჯები. გუშინწინ ვილაცამ რევოლუციური დასცალა ბულვარის მახლობლად და

წინ დაუხედავი კაცი მაშინვე შეიპყრეს მცველებმა და ორგანიზაციებს გადასცეს. ქუჩაში სროლა, ძარცვა-გლეჯა უკანასკნელ ხანებში შემცირდა. ამას წინად პროკურორის კამერიდან წაღებული რემინგ-ტონის მაშინა უკანვე დაუბრუნეს პატრონთ.

\* \* \* გაზეთები აღწერენ გენ. სახაროვის მოკვლას. ეს ამბავი თვით გენერლის აღიუქმებისაგან გაუგონაით, შუაღლის პირველ საათზე გენერალი გუბერნატორის კაბინეტში იჯდა, მსახურმა მოახსენა, რომ ვიღაც ქალი მოვიდა და თქვენი ნახვა უნდაო. გენერალმა უბრძანა ქალი კაბინეტში შეეყვანათ. შევიდა შავ კაბაში გამოწყობილი ქალი, ასე 30 წლისა, გაეცნო გენერალს, როგორც მემამულე პენზის გუბერნიისა და ჩამოჯდა სკამზე. ამის შემდეგ ქალი მოუკვია ვითომდა გლეხებისაგან შეწყუბების ამბავს და თხოვა დახმარება. ამასთან გენერალს თხოვნა გადასცა. როდესაც სახაროვმა თხოვნის კითხვა დაიწყო, ქალმა ბრაუნინგის რევოლვერი ამოიღო და სამჯერ ესროლა. გენერალი მაშინვე სწვდა ხელებში, მაგრამ ქალმა მეოთხედ მოასწრო გასროლა. გენერალი მეორე ოთახში გავიდა, მაგრამ მეტი ვეღარ შესძლო; დაჰკარგა გრძნობა და მალე გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ ერთ ტყვიას გულში გაველო, მეორეს ფილტვში და მესამეს ხელში გახვრიტა. ქალი დააპატიმრეს. საპრობილემო რომ წაიყვანეს, იქ ტუსაღებმა არეულობა მოახდინეს და მოითხოვეს ქალის განათვისუფლება. საქმე იქამდის მივიდა, რომ ჯარი გაიწვიეს. გენ. სახაროვის გვამი მოსკოვში მიიტანეს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყველამ წინააღმდეგ იცოდა, სადგურზე არც ერთი კაცი არ გასულა. გვამი მოსკოვიდან პეტერბურგს წაიღეს.

\* \* \* ამას წინად მინისტრთა საბჭოში განუხილავთ ახალი პროექტი არჩევნების. ოთხ ფორმულიანი პროექტი მინისტრთა საბჭოს უარ-უყვია და დაუდგენია გააფართოვოს მხოლოდ 8 აგვისტოს არჩევნების პროექტი. ამ პროექტის ძალით არჩევნების უფლება ეძლევათ: 1) იმათ, ვისაც თავის სახელზე ცალკე სადგომი აქვს დაქირავებული; 2) ვინც იღებს ჯამაგირს ან პენსიას სახელმწიფო სამსახურისათვის; დედა ქალაქებში არა ნაკლებ 600 მან. და პროვინციებში 300-სა; 3) ვინც ქალაქში იხდის რომელსამე პირდაპირ გადასახადს ან საქალაქო გადასახადს უძრავ ქონებაზე; მაზრაში კი სახელ-

მწიფო სადგომის ან სამარწველო გადასახადს; იმათ, ვინც მუშაობს ფაბრიკასა, ან ქარხანასა, სახელოსნოებსა, რკინის გზებსა და სხვა და სხვა ამხანაგობაში (არტელში).

\* \* \* ტფილისში მიღებულ იქმნა შემდეგი კერძო დებულებები:

როსტოვი. «ამხანაგებს. სამშობლო განსაცდელშია. მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობამ სცნო მოქალაქობრივი უფლებანი დამონაგებულ ხალხისა. რუსეთის 23 რკინის გზის წარმომადგენელთა რჩევამ და მოსკოვში შეკრებილმა სრულიად-რუსეთის რკინის გზათა კომიტეტმა დაადგინეს, დაიწყონ სრულიად-რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა 7 დეკემბერს 1905 წ.; როსტოვის ბიურო უერთდებამ გარდაწყვეტილებას და იძლევა შემდეგ წინააღმდეგს; გაფიცვა დაიწყოს 8 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, ის საქონლის მატარებლები, რომელთაც გაფიცვა გზაში მოასწრებს, უნდა მიიყვანონ მხოლოდ დიდ სადგურამდე, ადგილობრივ ბიუროს მოსახრებისამებრ. სამგზავრო მატარებლები უნდა მიიყვანონ დიდ სადგურებამდე, სათადარიგო ჯარის კაცებითა და დამშველთათვის პურითა და სანთავით გაგზავნილი მატარებლები დაუბრკოლებლად განაგრძონებ თავის წყას. ადგილობრივმა ბიუროებმა საქმე იქ უნდა მოაწყონ, რომ ლიანდაგზე მოსაქმე სახურე ამხანაგები უზრუნველ იყვნენ განსაცდელისაგან და სანთავაგე და წყალი არ მოაკლდეთ. გაფიცვა შესწყდებამ მხოლოდ რუსეთის ბიუროს მიერ გამოგზავნილ ცნობით. ორგანიზაცია, ხელმძღვანელობს რა გაფიცვით, 11 დეკემბრისთვის დანიშნავს როსტოვში ლიანდაგზე მოსამსახურეთა ბიუროების წარმომადგენელთა კრებას. თხოვრებ, გამოგზავნოთ ორ-ორი წარმომადგენელი. ამხანაგებო, ჩვენს ერთ-პირსა და ერთ მოქმედებაზე დამოკიდებული ყოველივე».

გაცრუვდა ეს იმედი მუშათა. მთავრობამ ძალით მოსპო ეს გაფიცვა. ხალხი გმობს ამისთანა გაფიცვას, რომელიც გაჭირვებულთ კიდევ მეტად აღატაკებს და ცხოვრებას უმწარებს...

\* \* \* ტფილისში გასავრცელებლად პეტერბურგიდან შემდეგის შინაარსის ფურცლები მოვიდა: «მძებო-ქრისტიანებო! მიუღეს რუსეთში გაფიცვა, ხალხი თხოულობს თავისუფლებას; თხოულობს, რომ მოხელენი თვითნებობას აღარ იჩენდენ, რომ აღარ სძარცვადენენ ხაზინას, რომ ხალხს დახარჯულ ფუ-



ლის ანგარიშს აძლევდნენ, რომ ყველას უფლება ჰქონოდა, შეიკრიბოს და თავისი საქიროებანი გამოარქვიოს; რომ ხალხმა თვით აირჩიოს ისეთი პირები, რომელსაც ენდობა, რათა დამფუძნებელ კრებაზე მათთან ერთად გადასწყვიტოს, თუ როგორ განაგრძო ქვეყანა. მხოლოდ გაფიცვებს შეუძლიან, რომ მოხელეებმა ხალხს დაუთმონ. გაფიცულთ არავის მოკვლა არა სურთ, არავის სისხლის დაქცევა არ უნდათ. რუსეთის შველა უნდათ, ყველა ქრისტიანები მათ მხარეს გადადიოთ. უკანასკნელი ღოვო წამება: ქრისტეს გულისათვის წამებულად მოგვიწოდებთ.

\* \* \* დიდის ამბითა და ზეიმით შემოდებული წეს-წყობილება საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა, რომლითაც ჰფიქრობდნენ რუსეთის სახელმწიფოს განმტკიცებასა და გონებრივ დაწინაურებას, დღეს უკვე ზოგიერთებისაგან უარყოფილი შეიქმნა. როგორც ხმები ისმის მთელი სამრევლო სკოლები უნდა დაევემდებაროს სახალხო განათლების სამინისტროს. ამნაირად ფუჭად ჩაიარა ყველა იმ ხარჯებმა, ყველა იმ შრომებმა და ციადმ, რომელიც ამ საქმეს ადევლა საფუძვლად ამ რამდენიმე წლის განმავლობაში. მთლად დაიღუპა ის მილიონები რომელიც მოუხდა სხვა-და-სხვა სახელმძღვანელოების და უხეირო წიგნების დაბეჭდვას! მოიგეს მარტო იმ ბატონებმა ვინც ამ წიგნებს აბეჭდიდნენ, და მათი მონობაობის პატრონები იყვნენ. ნეტავი რა ეშველებათ იმ პირებს, ვისაც ამ უწყებაში კარგი თბილი ადგილები ჰქონდათ მოპოებული? დასთანხმდება თუ არა სახალხო განათლების მინისტრი, რომ ეს ნაშთნიც თავის უწყებაში გადაიყვანოს?! მაგრამ, როგორც ნათქვამია, არაფერი არ არის სამუდამო ჩვენს ქვეყანაზე, და მგონი ამათაც ისე მოუვათ...

\* \* \* ამ ახალი წლიდან გამოდის ახალი ქართული გაზეთი სახელად: „ზატარა გაზეთი“ რომლის რედაქტორობა პ. მირიანაშვილმა გადასცა კ. მესხს. გაზეთი მართლაც პატარა და ღირს წლიურად მ მანეთად, თვიურად ოთხ აბაზად და ცალკე ნომერი 2 კაპ. ეს გაზეთი ყველასათვის ადვილ მისაწდომი არის და იმედია კიდევ გავრცელდება საკმაოდ.

X \* \* \* ამ მოკლე ხანში გამოვა ქართველ-კათოლიკეთა სასულიერო ჟურნალი «ჯგანა ვახსან».

\* \* \* ექიმს ვახტანგ დ. ლამბაშიძეს «ქართულ სამკურნალო ფურცლას» გამოცემის ნება მოუვიდა.

ამ საქმის შესახებ ხუთი წელიწადია რაც შუამდგომლობა იყო აღძრული, მაგრამ სამწუხაროდ რამოდენიმეჯერ უარ-ყოფილი იქნა. უთუოდ ეს დარგაც საწინააღმდეგოდ იყო დასახული პლევეს მინსტრობის დროს.

\* \* \* თბილისში შუამდგომლობა აღუძრავს ექიმს ა. დიასამიძეს ყოველ-დღიურ გაზეთის „განთავად“ გამოცემის შესახებ. გაზეთს კარიკატურებიანი და სურათებიანი დამატება ექნება.

\* \* \* საქმეწილო სურათებიანი ჟურნალი «ნაკადული» ამ მეორე წლის გამოცემას იწყებს იანვრის თვიდან. ჟურნალის რედაქტორად არის ამ ახალი წლიდან ბ. ბ. დემურიასი, ხოლო გამომცემლად ბ. ბ. თუმანიშვილი „ივერიისა“ და „გოზრობდენი“ გამომცემელი. ეს ჟურნალი წარსულ წელშიდაც კარგად გამოდიოდა და იმედია, ესხა ყოველ დამბკოლებას აშორებული, უფროც გაუმჯობესდება. ამ წელსაც თვეში ორი წიგნაკი პატარა ბავშვებისათვის გამოვა, ერთიც მოზრდილთათვის, ხოლო ორ თვეში ერთჯერ პედაგოგიური დამატებაც ექნება.

\* \* \* უწ. სინოდის ობერ-პროკურორმა აცნობა ორლოვის ეპისკოპოსს კირიონს და იმერეთის-ლეონიდის რომ იგინი ხელმწიფე იმპერატორისაგან მიწვეულნი არიან უწ. სინოდში საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის საკითხის შესახებ.

\* \* \* როგორც მღვდელი თამარაშვილი იწერება იტალიიდან, მას სიცილიაში აღმოუჩენია ფრიად საყურადღებო მასალა საქართველოს ისტორიის შესახებ და ამასთანავე ძველი ტაძრებისა და ციხეების 137 სურათი. ზოგიერთი მასალა არაბულ ენაზედაც აღმოუჩენია: წმ. ნინოს მოღვაწეობის და პირველ საქართველოს კათალიკოსთა ცხოვრების აღწერა. (პატ. გაზ.)

\* \* \* „ნოვოსტ“-ი იუწყება: „იმისდა მიუხედავად რომ კ. პ. პომედიანოსცემა დასტოვა ობერ-პროკურორის სამსახური, მისი „მოღვაწეობა“ მაინც კიდევ არ შემწყდარა. მისი რჩევით ჯერაც კიდევ სარგებლობენ, მის აზრებს ფასი აქვს და მისი მოგზაურობა ცარსკოსელსკის რკინის გზით ჯერაც არ შეწყვეტილა“.

\* \* \* პეტერბურგში გამოსულა ახალი გაზეთი „კალოკოლი“, ეს პირველი საეკლესიო-პოლიტიკური გაზეთია რუსეთში.

\* \* \* მოსკოვის გრადონაჰალნიკს თათბირი გაუ-  
მართავს და გადაუწყვეტით მოსკოვიდგან 3,000  
თხოვლის გაძევება.

\* \* \* ოდესის გრადონაჰალნიკს დროებითად და-  
უხებურავს ნოვოროსისკის უნივერსიტეტი, იმ მიზეზით,  
რომ იქ სხდომები იმართება გარეშე პირთა თანა-  
დასწრებითა.

\* \* \* მოსკოვსა, ზამთრის სასახლესა და ცარსკოე  
სელოს შუა უძველესო ტელეგრაფი გაუმართავს.

\* \* \* ნოემბრის თვის განმავლობაში ხშირი თათ-  
ბირი ჰქონიათ ვიტტესა და ფინანსის მინისტრს  
შეიპოვს. იმავე დროს საჩქაროდ მუშაობდნენ სახელ-  
მწიფოს თანხის გამოსარკვევად. ერთსაც და მეორეს  
მიზნად აქვსთ გამორკვევა იმისი, თუ რამდენად  
საფალალოა თანამედროვე ფინანსიური კრიზისი.  
საგარეო სესხის აღების იმედი სახელმწიფოს სათა-  
თბირის დაუკითხავად საბოლოოდ მოსაზობილია.  
ფინანსიურ წრეებში ირწმუნებიან, რომ საგლეხო  
სხდომის დადგენილების იმ ნაწილს, სადაც ნათქვა-  
ნია: რომ ხალხი არა სცნობს იმ სესხებს, რომელსაც  
მთავრობა მის დაუკითხავად აიღებს 10 ნოემბრის  
შემდეგ. აი ამ დადგენილებას, რომელსაც თითქმის  
რუსეთის პრესამ ყურადღება არ მიაქცია, საზღვარ-  
გარეთ მეტად დიდი ყურადღება მიაპყრეს.

\* \* \* 23 იანვარს მოზრძანდა ქუთაისში როგორც  
დროებით მმართველი ალავერდის ეპისკოპოსი ყ-  
დასამღვდლო ჰერცე.

\* \* \* ხმები არის, რომ აფხაზეთის ეპისკოპოსად  
ინიშნება ორლოვის ეპისკოპოსი ყ-დასამღვდლო  
კირიონი.

\* \* \* უწმიდეს სინოდში კარგი ხანია დაწყებუ-  
ლია სხდომები, რომელ სხდომებზედაც მიწვეულნი  
არიან ყ-დასამღვდლო კირიონი და ლეონიდი-  
მსჯელობა არის საქართველოს ავტოკეფალურ მარ-  
თველობის აღდგენაზე. ჩვენი მღვდელმთავრები  
თხოვენ საქართველოს მიენიჭოს ავტოკეფალობა.  
დღეს როგორც შევიტყვეთ ამ კითხვის ვადაწყვეტის  
საქმე გადაუღვიათ იმ დროისათვის როცა რუსეთში  
შეიკრიბება სასულიერო და საერო კრება.

# ბანსხალეა.

მიიღება ხელის-მოწმება 1906 წლისათვის რ.დ.  
კვირულ გამოსცემათა ჰართულს

XXIII წ. „მწყემსი“-ზე XXIII წ.

ღ

XXII წ. რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე XXII წ.

## ქურნალის ფასი:

12 თეთი «მწყემსი» 3 მ. | 6 თეთი «მწყემსი» 2 მ.  
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 )  
— ,, ორივე გამოცემა 5 ) — ,, ორივე გამოცემა 3 )

ზაზეთზე ხელის-მოწმება შეიძლება დაბა-  
ეგირადასში რედაქციაში, თბილისში წყარა-კითხვის  
გამაგრცელებელ საზოგადოების წიგნის მ.ლაზიაშვი-  
ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის  
შემოტანა მან ორივე ქურნალისთვის უნდა წარმო-  
ადგინოს 3 მან. პირველ იანვარს და 2 მ. პირველ  
ივლისს. მართა „მწყემსი“-სთვის: პირველ იანვარს  
1 მ. პირველ აპრილს 1 მ. პირველ ივლისს 1 მან.  
სოფლის მასწავლებელთა და ღარიბთა ზაზეთები დაეთმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე ა დ.  
რედაქცია იმყოფება დ. ეგირადასში რედაქც-  
ტორის საკუთარ სახლებში.

ზაზეთზე მკვთაობებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ  
ამ ადრესით: Въ Квирлян, въ редакцію газеты и  
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელ-  
ნიც ორ მანეთად დაეთმოვბათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა  
სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კა-  
თალოგი დრო-გამოშვებით ქურნალშიდაც იბეჭდება  
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაზიძე,

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе

სტამბა ქურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამაზიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.